# დროშა

ოქტომბერი

№ 10 1983 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0180—1624





ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნის ზარი — დედაენა.

ავტორები: მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექ-ტორი ნოდარ მგალობლიშვილი.

ფოტო მერაბ ლვინაძისა.



ანსამბლ „ბერიოზკას“ მსახიობთა ჯგუფი.

# მადლიერი საქართველო — ძვირფას სტუმრებს

## საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს

ტალანტების დღესასწაულით, მაღალი ხელოვნების ზეიმით, შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობდა საქართველო მთელი ამ დღეების განმავლობაში. საბჭოთა რუსეთის, მისი შესანიშნავი ადამიანების ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ დიდებული მოთხრობა გახდა რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები — ბრწყინვალე კონცერტები, გამოფენათა დიდებული ექსპოზიციები, დაუვიწყარი შემოქმედებითი შეხვედრები.

განთქმულმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა, საქვეყნოდ ცნობილმა ლიტერატორებმა, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს ოსტატებმა, რომლებიც საბჭოთა კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, არა მარტო დაგვანახვეს რუსეთის შემოქმედებითი გენიის დაუშრეტელი საგანძურის მკაფიო პანორამა, არამედ ახალი ძალით დაადასტურეს, თუ რა ურღვევია ძმური კავშირი, რა ფართო და ამოუწურავია რუსული გულის სიუხვე, გამოიჩინეს მხურვალე ინტერესი ჩვენი ხალხის სულიერი ღირებულებებისა და შრომითი მიღწევებისადმი, მის მისწრაფებებთან წილნაყარობა, რამაც რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები გადააქცია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად რესპუბლიკის ცხოვრებაში. გულითადი მადლობა ამისათვის!

მადლიერების ყველაზე კეთილი სიტყვებით მივმართავთ რუსეთის სფსრ წარმომადგენლობითს დელეგაციას, რომელმაც თავისი მონაწილეობით დაამშვენა მეგობრობისა და ძმობის ეს შთამბეჭდავი დღესასწაული.

ჩვენს მეგობრობას აცისკროვნებს რუსეთისა და საქართველოს შვილების დიადი სახელები. ერთიანობის, ურთიერთგამდიდრების ფასდაუდებელი ტრადიციები მტკიცდება, ვითარდება, ახალ-ახალ მასშტაბს იძენს. ამის ერთ-ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა ახლანდელი მოვლენა. და კანონზომიერია, რომ იგი გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიული მანიფესტის 200 წლისთავის დღესასწაულის საზეიმო პროლოგი.

მოხარული ვართ, რომ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ესოდენ ვრცელი პროგრამის მიუხედავად, შეძლეს კიდევ უფრო ახლო გასცნობოდნენ ჩვენს რესპუბლიკას, შეეგრძნოთ მისი შრომითი რიტმი, საქმიანი განწყობილება და დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება.

მადლიერი საქართველო — მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს უსურვებენ შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს სამშობლოს სადიდებლად, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

საბჭოეთის ხალხთა მხატვრულ აღმოჩენათა უმდიდრესი საუნჯე, საბჭოთა ხელოვნების მთელი მრავალფეროვნება და მრავალხმიანობა, ერთიანდება მძლავრ სიმღერად აღმშენებლობისა და მშვიდობის შესახებ. იმის საჭიროება, რომ გავამაგროთ ჩვენი პოზიციები მშვიდობის განმტკიცების საკითხებში, რომელიც ასეთი დამაჯერებლობითა და ძალით არის გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, დღეს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის მთელი ჩვენი მრავალეროვნული კულტურის წარმომადგენელთა კეთილშობილურ მისიას, ხალხთა ურთიერთგაგების დამკვიდრებას რომ ისახავს მიზნად.

ასეთია სახელოვანი საბჭოთა ტრადიცია, რომ ჩვენი დღესასწაულებიც ხელს უწყობს საერთო საქმეს, გვრაზმავს, უფრო თვალსაჩინოს ხდის ჩვენს წარმატებებს, გვმატებს მხნეობასა და ენთუზიაზმს მომავალი მიღწევებისათვის, და, როგორც შესანიშნავმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა თქვა, გულიდან გულამდე აგებს ჩვენი დიადი მეგობრობის ხიდს!

ურყევია ჩვენი ერთიანობის თვით ისტორიის შექმნილი, ერთიანი და თანასწორი ხალხების ინტერნაციონალური კავშირისათვის ლენინური ზრუნვით შედუღაბებული, საბჭოთა ადამიანების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი თანამეგობრობით ნაწრთობი ამ ხიდის საძირკველი. და წმინდად ვიცავთ იმის ხსოვნას, რომ გზა ამ ხიდზე დიდმა რუსმა ხალხმა გაკვალა.

ყოველი ახალი დღე მკაფიო ფურცელს წერს ძმობის მატიანეში. წითელ სტრიქონად აღიბეჭდება მასში ჩვენი საერთო დღესასწაულის, ცხოველმყოფელი და ყოვლისმძლე ერთიანობის დღესასწაულ-სიმბოლოს ეს დაუვიწყარი დღეებიც.

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ერთხელ კიდევ გულითად მადლობას მოვახსენებთ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს — შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მხატვრულ კოლექტივებსა და მათს ხელმძღვანელებს, კომპოზიტორებსა და დირიჟორებს, ყველა შემსრულებელს — ბალეტის მსახიობებს, ვოკალისტებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, რომლებმაც ეს ნათელი დღესასწაული გვაჩუქეს.

დაე, მარად იმარჯვებდეს და კიდევ უფრო მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხების ძმობა, რომლებიც გულდაჯერებით აშენებენ მშვიდობასა და ბედნიერებას ლენინიზმის დიადი დროშით.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (562) ოქტომბერი. 1983

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1983 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.





ეროვნული ბიბლიოთეკა



● რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ჩეხარინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი სვეტლანა სავიცკაია.

● სსრ კავშირის სახალხო არტისტი ელენე გოგოლევა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი.

● სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლუდმილა ზიკინა.

● სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ულიანოვი.



სიტყვას წარმოთქვამს ლენინური პრემიის ლაურეატი ნოდარ დუმბაძე.

რსფსრ დამსახურებული არტისტი ალა პუგაჩოვა ბავშვებთან.

საუბრობენ არქიტექტორები.

ლექსს კითხულობს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პოეტი ანდრეი ვოზნესენსკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რსფსრ-ის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში







ერეკლე მეორე.

ასტრახანი. ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის საფლავი.

გარსევან ჭავჭავაძე.

თელავი. სასტუმრო „კახეთი“.

თელავი. ერეკლე II-ის სასახლე.

ფოტო ედუარდ გიგილაშვილისა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო მედალი.

მხატვარი გიორგი ავსაჯანიშვილი.











ეროვნული
ბიბლიოთეკა

- თბილისობა — 88
- თბილისობის კრასნოიარსკელი მონაწილენი.

ფოტო შ. აივაზოვისა

- ყველგან ცეკვა და სიმღერა.
- ყარაჩოღელები — ძველი თბილისის სურათი.

ფოტო ვ. მორგუნოვისა

საქინფორმის ფოტოქრონიკა









„დროშა“ 60 წელი

# ჟურნალის საიუბილეოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:**

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა“:**

**ბერულავას** ხუტა მიხეილის ძეს — ჟურნალ „დროშის“ მთავარ რედაქტორს,

**დემეტრაშვილს** ოთარ ივანეს ძეს — ჟურნალ „დროშის“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“**

**არჩვაძეს** თარხან კონდრატეს ძეს — ფოტოკორესპონდენტს,

**ბალიაშვილს** ვლადიმერ პავლეს ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშაკს,

**გიორგობიანს** ოლღა ბიძინას ასულს — ჟურნალ „დროშის“ ყოფილ თანამშრომელს,

**თავაძეს** ქეთევან სტაქოს ასულს — რედაქციის უფროს ლიტმუშაკს,

**ხანთაძეს** რევაზ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშაკს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ბახტაძე** გულნარა ვლადიმერის ასული — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი,

**ბასილია-შარიქაძე** იამზე ივანეს ასული — რედაქციის ლიტმუშაკი,

**გიორგობიანი** ნათელა დავითის ასული — რედაქციის განყოფილების გამგე,

**ნადირაძე** მზია ზაქარიას ასული — რედაქციის ლიტმუშაკი.

**ნოდია** დინარა მიხეილის ასული — რედაქციის ილუსტრაციების განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი,

**ოსეფაშვილი** ლია ფიროზის ასული — რედაქციის თანამშრომელი.

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები**

ჟურნალ „დროშის“ დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

**გოგოლაძე** თენგიზ გიორგის ძე — ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი,

**დადვაძე** ბონდო იონას ძე — ფოტოჟურნალისტი,

**ედიშერაშვილი** სერგი მიხეილის ძე — ფოტოჟურნალისტი,

**კუპრეიშვილი** ნუნუ ნიკოლოზის ასული — რედაქციის თანამშრომელი,

**რუხაძე** ანატოლი ვასილის ძე — ფოტოჟურნალისტი,

**სეფიაშვილი** დავით ალექსანდრეს ძე — ჟურნალ „დროშის“ ყოფილი თანამშრომელი,

**სიგუა** ალექსანდრე კონდრატეს ძე მწერალი, კორესპონდენტი,

**სიჭინავა** ცისანა ევტროფის ასული რედაქციის თანამშრომელი.

# „დროშის“ წარსულიდან

**გიორგი ნატროშვილი**

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ექსპონატთა შორის არის ერთი საინტერესო ფოტოსურათი, გადაღებული ცხრამეტი თუ ოცი წლის წინ და მას წარწერილი აქვს: „ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში“. სურათზე რედაქციის კოლექტივია აღბეჭდილი და ცენტრში ზის დიდი ქართველი მწერალი, ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი და მუდამ სანატრელი სტუმარი კონსტანტინე გამსახურდია. მის აქეთ-იქით სხედან და დგანან გულნარა ბახტაძე და თენგიზ გოგოლაძე, ოთარ დემეტრაშვილი და ვასილ გვეტაძე, დინარა ნოდია და ოთარ თურქია, თარხან არჩვაძე და თქვენი უმორჩილესი მონა, როგორც ძველად იტყოდნენ ხოლმე; თითქოს სრულიად უბრალო და ჩვეულებრივი ფოტოა, მაგრამ ის ძალზე ტიპიურია და დამახასიათებელი იმ მხრივ, რომ ამ ჟურნალის მთელი ისტორიის მანძილზე, სამოცი წლის განმავლობაში, რა დროსაც არ უნდა შეგეხედა რედაქციაში, მუდამ დაინახავდი ქართული სიტყვის გამოჩენილ ოსტატებს. აქ მუდმივი სტუმრები იყვნენ გიორგი ლეონიძე და პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი და კოლაუ ნადირაძე, ალექსანდრე ქუთათელი და პოლიკარპე კაკაბაძე, გრიგოლ აბაშიძე და კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და რევაზ ჯაფარიძე და ა. შ. სტუმრებიო... რის სტუმრები, მასპინძლებიც თვითონვე იყვნენ. ლეონიძე სისტემატურად შეგვახსენებდა ხოლმე — არ დაგავიწყდეთ, — ეგ ჟურნალი ჩემი დაარსებულიაო, ხოლო მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი სახელგანთქმული რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ პირველი თავები სწორედ „დროშის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა. „დროშა“ მუდამ ქართული ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ჟურნალი დღესაც ღირსეულად განაგრძობს ამ კარგ ტრადიციას. მისი კარი მუდამ ფართოდ იყო გაღებული ახალგაზრდა მწერლებისათვის და ბევრმა მათგანმა აქ აიდგა ფეხი.

„დროშამ“ და მისმა სამხატვრო რედაქტორმა, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა დინარა ნოდიამ დიდი ამაგი დასდეს ქართულ სახვითს ხელოვნებას. ვინ მოსთვლის, რამდენი ახალი, ნოვატორული ნაწარმოების რეპროდუქცია პირველად „დროშის“ ფერადსა და შავ-თეთრ ჩანართებზე გამოჩნდა; „დროშა“ მუდამ მხარს უჭერდა გაბედულ ძიებას, ახლის წარმოქმნას; ქართული ფერწერისა და გრაფიკის გონივრული პროპაგანდის საქმეში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

როგორც ცნობილია, ფოტოგრაფია თავის ისტორიას 1839 წლიდან იწყებს, მაგრამ ფოტოსურათის, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების, როგორც სახვითი ხელოვნების ცალკე დარგის აღიარება მოხდა მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში. მთელ მსოფლიოში სწორედ ამ დროს გამოვიდნენ ასპარეზზე ხელოვნების ამ დარგის გამოჩენილი ოსტატები, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ქართველ ფოტოხელოვანს გურამ თიკანაძეს, რომლის ყოველი ახალი ნამუშევარი მოწონებას იმსახურებდა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც, საერთაშორისო გამოფენაზე — იტალიაში თუ ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა თუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ქართველი ფოტოხელოვანი საპატიო ჯილდოებს იმსახურებდა; და გურამ თიკანაძეც „დროშის“ პირმშო იყო; რა თქმა უნდა, ის მარტო არ ყოფილა, მასთან ერთად მუშაობდა მთელი რაზმი ამ დარგის ოსტატებისა, რომელნიც შემოკრებილნი იყვნენ „დროშის“ ირგვლივ.

კიდევ ბევრი რამის თქმა და გახსენება შეიძლებოდა „დროშის“ წარსულიდან, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ და მივულოცოთ ჟურნალ „დროშის“ რედაქციას, მის თანამშრომელთა კოლექტივს, მის მკითხველებს ეს თარიღი და ვუსურვოთ ახალი წარმატებანი ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

ოთარ შალამბერიძე

# დროშა

ჟურნალ „დროშის“ საიუბილეოდ

დროშა როდია მხოლოდ ნაჭერი
წმინდად ნაქსოვი ხატაურისა?!.
მთას შეაჯერებს, ბარს შეაჯერებს
გადაწიდნული ხალხთა გულისხმას.

სულ სხვა მადლი აქვს წითელ ფალანგას,
ფიცხელ ომში რომ უცებ იალებს;
დამწვარიც იყოს — ცოცხლობს ქალაქი,
თუ მისი კალთა თავს დაჰფრიალებს!

სადაც ის არის, ჰქუხს ალტაცება
და არც იარა ითქმის იარად;
არ შეიძლება დროშის დაცემა,
რადგან მარცხს ნიშნავს,
სიკვდილს კი არა!

წინსვლაა დროშის თანამდებობა,
ეს — მიზანია! ეს — დევიზია!
მიტომაც იგი განა — მეომარს,
მთელ პოლკს უპყრია, მთელ დივიზიას!

ტკბილხმოვანია დროშის ფათქუნი,
სივრცეში რომ ჩანს ფერთა სისავსედ;
იმიტომ არის ის აღმართული,
შუქი აფრქვიოს დედამიწაზე!

ეგ ხმა მამულის სუნთქვას შერთვია
და მძლავრ თაობებს სულ თან დაჰყვება;
თუ ყველა მწყობრიც ერთით მეტია,
იმ ერთსაც დროშა ჰქვია სახელად!

დე, სიტყვის ძალაც ახლდეს მთებური,
ეპოქის სულში წვდომის უნარიც;
ამნაირ დროშად სახელდებული
კვლავ მხარში გვიდგას ჩვენი ჟურნალი.

იბრძვის ჟურნალი, ჩვენი ჟურნალი,
ბრძნული ასაკის, ბრძნული განჭვრეტის;
მას, მას მიანდე რწმენის შტურვალი,
თუ შედრკი, ანდა წუთით გაჩერდი.

ვით ლურჯი წვეთი კლდით ნაჟურვალი
მღერის — ნაკადულს მიმატებული,
ასე — ჟურნალი, ჩვენი ჟურნალი
ხალხის გულშია სხივანთებული!

შრომობს ჟურნალი, ჩვენი ჟურნალი,
ცეცხლში ნაწრთობი დასაბამიდან;
იგი დაიწყო გზით ნაურმალით
და მაგისტრალურ გზაზე გავიდა!

ეს — სამერმისო ახალშენია
და ჩვენი ბედის საშვენიერი,
რომ ერწყმის სახელს
მაღალმშვენიერს
ჯილდოც მაღალი და მშვენიერი!

რომ ფოთოლივით არ იცახცახოს,
მეც ლექსს ზეგარდმო მივუბი ლარი:
მხნედ ვლიდეს „დროშა“ — მარად
სახალხო
და ღირსეული იუბილარი!

# სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თეიმურაზ თოფურია,**
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მე-4 მთავარი სამმართველოს უფროსი

**შალვა მახარაძე,**
სამმართველოს მთავარი ქირურგი, პროფესორი

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ექიმთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე მსოფლიოს ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, სამედიცინო ინსტიტუტის გარდა, არსებობს ექიმთა დახელოვნების და სამედიცინო პროფილის 18 დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მათ ევალებათ სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადება და სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტა, რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარისხზე.

ჩვენს საზოგადოებრიობას ეამაყება, რომ მას ჰყავდა სახელოვანი მამულიშვილები — გ. მუხაძე, ს. ვირსალაძე, ს. გოგიტიძე, ა. ალადაშვილი, ა. თიკანაძე, მ. წინამძღვრიშვილი, დ. იოსელიანი, ა. წულუკიძე, ნ. ყიფშიძე, ქ. ერისთავი, ე. ფიფია, ი. აბაკელია, ი. კონიაშვილი, კ. ჩაჩავა და სხვა მეცნიერი-კლინიცისტები. თავისი დარგის ამ გამოკვეთილმა ლიდერებმა თავის დროზე ფასდაუდებელი ამაგი დასდეს საქართველოში სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადების საქმეს.

ზოგიერთმა მათგანმა შექმნა საკუთარი სკოლა, რამაც აღიარება ჰპოვა რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბით. აქ შეიძლება დავასახელოთ კარდიოლოგიური და უროლოგიური სკოლები, რომლებიც მ. წინამძღვრიშვილმა და ა. წულუკიძემ შექმნეს. ამ კლინიცისტთა დიდ ავტორიტეტს უნდა მიეწეროს ის, რომ საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა კარდიოლოგიისა და უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტებმა საგულისხმო მეცნიერული პროდუქციის შექმნასთან ერთად არაერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აღზარდეს. მაღალკვალიფიციური ქირურგების ბრწყინვალე აღმზრდელი იყო გ. მუხაძე და მის მიერ შექმნილი ქირურგიისა და ჰემატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობას დღესაც ამშვენებენ შესანიშნავი მეცნიერები — პ. სარაჯიშვილი, ა. ზურაბაშვილი, ნ. ჯავახიშვილი და სხვები, რომელთა მოღვაწეობა ექიმთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქართველ კლინიცისტთა მაღალი ავტორიტეტი ახლო წარსულში საყოველთაოდ იყო აღიარებული. არაიშვიათად მიმართავდნენ მათ სამკურნალოდ მეზობელი რესპუბლიკებიდან ჩამოსული ავადმყოფებიც. მაგალითად, მსოფლიოში განთქმულმა ერთმა მოსკოველმა აკადემიკოსმა თავისი მეუღლე თბილისში ჩამოიყვანა სამკურნალოდ ა. წულუკიძესთან, რომელმაც იგი რთული ოპერაციით განკურნა. ასევე ოპერაციით განკურნა ს. არშბამ თბილისში ჩამოსული ჭადრაკის დიდოსტატი და მსოფლიოს ექსჩემპიონი. არაიშვიათად მიმართავენ ს. ხეჩინაშვილს სმენის აღდგენისათვის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ავადმყოფები. რა თქმა უნდა, ხსენებული და სხვა მაგალითები ნათლად მოწმობენ მედიცინის სხვადასხვა დარგის ქართველ სპეციალისტთა უმაღლეს კვალიფიკაციასა და დიდ კლინიკურ გამოცდილებას. ეს ყველაფერი კი მიუთითებს საქართველოში კლინიკური მედიცინის მაღალ დონეზე, თუმცა ასეთი ოპტიმიზმის საბაბს ამჟამად მხოლოდ რამდენიმე სპეციალიზებული დაწესებულება თუ იძლევა. ძირითადად კი, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მოხსენებაში აღინიშნა, თუმცა ბოლო ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა, პრობლემებიც ჯერ კიდევ ბევრია.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადების დაბალ დონეზე, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. როგორც მოხსენებაში აღინიშნა, მედიცინის ზოგიერთ დარგში მუშაობა სერიოზულად ჩამორჩება მოსკოვის, უკრაინის და სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების სამედიცინო დაწესებულებების მიღწევებს. ასეთმა ვითარებამ კი, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო სამედიცინო დახმარებისათვის ავადმყოფთა დენადობას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით მოსკოვში. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბოლო დროს რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებმა, სამწუხაროდ, დათმეს თავიანთი პოზიციები, რაც უთუოდ დამაფიქრებელია.

სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზია საშუალო სკოლადამთავრებულის არასწორი პროფესიული ორიენტაცია. ყველასათვის ცნობილია, რომ აბიტურიენტთა დიდი ნაწილი წარსულშიც და ამჟამადაც თბილისის ან სხვა ქალაქების სამედიცინო ინსტიტუტებში ცდილობს მოხვედრას. საშუალო სკოლაში და სკოლის დამთავრების შემდეგაც ამის თაობაზე მათ არავინ ესაუბრება. რასაკვირველია, აბიტურიენტისათვის ძნელია დამოუკიდებლად გარკვევა, თუ რა არის მისი მოწოდება. მომავალი ექიმისათვის კი საკუთარი მოწოდების სწორად განსაზღვრას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელო-

ბაც კი ჰქონდეს. ჩვენ არაერთხელ გვსმენია ავადმყოფისადმი ზოგიერთი ექიმის უსულგულო დამოკიდებულების შესახებ. რა თქმა უნდა, ისეთ ექიმს, რომლის მოწოდება არ იყო ექიმობა, არ ექნება ადამიანური სითბო, სხვისი სატკივარის განცდისა და თანამოზიარეობის უნარი, რაც ნამდვილ მკურნალს უნდა გააჩნდეს და, აქედან გამომდინარე, ავადმყოფისადმი მისი დამოკიდებულებაც გულგრილი, ფორმალური იქნება. რაგინდ მაღალი ინტელექტისა და ანალიზურად მოაზროვნე იყოს ექიმი, თუ მის საქმიანობას არ უდევს საფუძვლად მორალური, მსოფლმხედველობითი პრინციპები და პასუხისმგებლობის შეგნება ავადმყოფის და საერთოდ საზოგადოების წინაშე, არ შეიძლება იგი ნამდვილი მკურნალი იყოს. ტყუილად როდია ნათქვამი: ვისაც ადამიანის სატკივარი არ ენაღვლება, ვისაც სათუთად მოპყრობის უნარი არა აქვს, ვისაც აკლია ნებისყოფა, რომ ყველგან და ყოველთვის საკუთარ თავზე იბატონოს, მან უმჯობესია სხვა პროფესია აირჩიოს, რადგან მისგან ვერასდროს დადგება კარგი ექიმი.

აბიტურიენტის სწორი პროფესიული ორიენტაცია, ალბათ, უმჯობესია სკოლაში სწავლების პროცესში დაიწყოს. ეს, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც შეამცირებს საექიმო ფაკულტეტებისადმი ლტოლვას იმ ახალგაზრდებისას, რომელთა მოწოდება არ არის მედიკოსობა.

მიზეზთა შორის, რომლებიც საერთო ჯამში სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადების დაბალ დონეს განაპირობებენ, უნდა დავასახელოთ უფროსი თაობის სპეციალისტების ნაკლები ზრუნვა ახალგაზრდა ექიმების პრაქტიკულად დახელოვნებისათვის. ამჟამად, ალბათ, უფროსი თაობის სპეციალისტების ბევრი წარმომადგენელი ვერ იტყვის, რომ მან აღზარდა, პრაქტიკულად დაახელოვნა და გამოაწრთო ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც შეიძლება დამოუკიდებლად მიენდოს ავადმყოფის ბედ-იღბალი. ახალგაზრდა ექიმის ქირურგად ჩამოყალიბების დღევანდელ მაგალითზე შეიძლება თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის ოპერაციებში ხშირ მონაწილეობას, ამა თუ იმ ქირურგიულ მანიპულაციის სტერეოტიპის გამომუშავებას. რა დასამალია, რომ ამჟამად ამაზე ოცნება თითქმის ზედმეტია სტუდენტური პრაქტიკის დროს. თითქმის იგივე მდგომარეობაა სუბორდინაციისა და ინტერნატურის დროსაც. რაც შეეხება ახალგაზრდა ორდინატორების ქირურგიულ აქტივობას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი დაბალი მაჩვენებლებით განისაზღვრება როგორც ინსტიტუტის კათედრებზე, ასევე შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. წლიდან წლამდე ზოგჯერ ისე გადის დრო, რომ ახალგაზრდა ორდინატორის წილად არც ერთი ოპერაცია არ ნაწილდება.

შეიძლება თუ არა სპეციალისტი ვუწოდოთ ისეთ ექიმს, რომელიც ყოველდღიურად უშუალოდ არ ასრულებს თავის ძირითად პრაქტიკულ საქმიანობას და არ ეუფლება მას?

ამჟამად აღარ არიან გ. მუხაძე, ა. ალადაშვილი, მ. წინამძღვრიშვილი, ნ. ყიფშიძე, ა. წულუკიძე, კ. ერისთავი, მ. კომახიძე, მ. ჩაჩავა და სხვანი, დღენიადაგ რომ ზრუნავდნენ ახალგაზრდა ექიმების პრაქტიკული დახელოვნებისათვის. ვიდრე ახალგაზრდა ექიმების პრაქტიკული დახელოვნება არ დადგება დღის წესრიგის პირველ საკითხად და იგი არ გადაწყდება მათსავე სასარგებლოდ, სამედიცინო კადრების პროფესიული დონე და ამასთან დაკავშირებით, სამკურნალო საქმეც ვერ დადგება საჭირო სიმაღლეზე. იგი მართლაც დაბალ დონეზე იქნება, რადგან რესპუბლიკაში მომუშავე ექიმების უმრავლესობას ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები შეადგენენ და სამკურნალო საქმეც მათივე პროფესიული კომპეტენციის შესატყვისად წარიმართება.

გამოცდილი სპეციალისტების, როგორც აღმზრდელების, საქმიანობასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ჭეშმარიტი გმირობა ვ. გრიზალოვისა — ძველი ქირურგისა, რომელიც მოსკოვის მახლობლად პატარა, ლამაზ ხეივანში განისვენებს. სამამულო ომის დროს იგი მძიმედ დაიჭრა. საველე სამედიცინო პუნქტის საოპერაციოში, სადაც უწყვეტ ნაკადად მიჰყავდათ დაჭრილები, მარტოდ დარჩა ახალბედა ექიმი, რომელიც ქირურგიულ ტექნიკას არ იყო დაუფლებული. საწოლი, რომელზეც ვ. გრიზალოვი იწვა, მისივე განკარგულებით მიიტანეს საოპერაციო მაგიდასთან. მიუხედავად ძველი ქირურგის მძიმე მდგომარეობისა, იგი მოკლე და კონკრეტულ მითითებებს აძლევდა ახალბედა ქირურგს დაჭრილთა ოპერაციების დროს მთელი დღე-ღამის განმავლობაში და დილისათვის გარდაიცვალა. მსგავსი მაგალითები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში გამომჟღავნდა, უკვდავყოფენ უფროსი თაობის სპეციალისტების ნათელ სახეებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტი, სადაც გეგმაზომიერი პერიოდულობით იგზავნებიან ექიმები სპეციალიზაციისა და დახელოვნებისათვის, წარმოადგენს რესპუბლიკის ძირითად სასწავლო დაწესებულებას ექიმთა პროფესიული დაოსტატებისათვის. მაგრამ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს ინსტიტუტი უფრო მეტად მსმენელს აძლევს საფუძვლიან თეორიულ განათლებას, უახლესი ინფორმაციის გაცნობით და, შედარებით ნაკლებად — პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც პირველ რიგში სოფლად დამოუკიდებლად მომუშავე ექიმს ესაჭიროება.

ექიმთა თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის დონის ამაღლებას უთუოდ ითვალისწინებდა თავის დროზე საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების სისტემა. სამწუხაროდ, ეს ბევრგან დავიწყებას მიეცა. არადა, ამით ორმაგად სასარგებლო საქმე კეთდებოდა. პოლიკლინიკის ექიმი რამდენიმე თვით სტაციონარში იგზავნებოდა, სადაც გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მუშაობდა. სტაციონარში მომუშავე პრაქტიკულად დახელოვნებული ექიმი კი ამ ხნის განმავლობაში პოლიკლინიკაში გადაჰყავდათ სამუშაოდ.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება კლინიკურ-ანატომიური კონფერენციები, რომლებიც სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებში სისტემატურად ტარდება. ლეტალობის გაანალიზება, ჭეშმარიტი დიაგნოზის დადგენა, შეცდომების მიზეზების გამოვლინება და მათი თავიდან აცილების გზების დასახვა, — აი, რა მიზანი აქვს ამ მეტად სასარგებლო და ნაცად ტრადიციულ ღონისძიებას.

მთელ რიგ კლინიკებში და სტაციონარულ განყოფილებებში სისტემატურად ხდება გარჩევა იმ ავადმყოფებისა, რომელთა დაავადების დიაგნოსტიკა სირთულეებთან არის დაკავშირებული. კლინიკური კონფერენციის სისტემატური ჩატარება და მასში ყველა მკურნალის აქტიური მონაწილეობა, რა თქმა უნდა, თეორიული დონის ამაღლებასთან ერთად ექიმს გამოუმუშავებს კლინიკური მსჯელობის უნარსა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია, პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ექიმმა თვალყური ადევნოს მოზღვავებულ ლიტერატურულ ინფორმაციას, რაც მას უთუოდ სჭირდება. ამიტომ, მისასალმებელი უნდა იყოს ყოველგვარი ღონისძიება, რაც ექიმს სპეციალურ ინფორმაციას მიაწვდის. ასეთი ღონისძიება სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, დიდ მოწონებას იმსახურებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უკვე ტრადიციად ქცეული ყოველკვირეული „ინფორმაციის დღე", საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მე-4 მთავარ სამმართველოს სამკურნალო დაწესებულებებში ყოველთვიური რეფერატული კონფერენციები სპეციალური საჟურნალო მასალების მოკლე ინფორმაციული მიმოხილვით. ამ ღონისძიებებში უკლებლივ ყველა ექიმი მონაწილეობს. მსგავსი ღონისძიებები, ვფიქრობთ, რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელში ფართოდ უნდა დაინერგოს.

არაიშვიათია ფაქტები, როდესაც მოსახლეობა გულისტკივილს გამოთქვამს სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალო საქმის არასახარბიელო დონის გამო. ზოგჯერ გულისტკივილი საჩივრის ხასიათსაც იღებს, რაც მთელ რიგ შემთხვევებში დასტურდება კიდეც. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში სამკურნალო საქმის დღევანდელი მდგომარეობისადმი მოსახლეობისა თუ ხელმძღვანელი ორგანოების პრეტენზიები სამართლიანია და კეთილი სურვილებით არის ნაკარნახევი.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის პარტია ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს. როგორც ამხანაგ ე. შევარდნაძის მოხსენებაში იყო აღნიშნული, პარტიის სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ექიმთა ახლანდელი თაობა შეიარაღებულია მედიცინის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგების უახლესი მიღწევებით. ამის დასასაბუთებლად ზოგიერთი ხელსაწყოაპარატურისა, თუ კვლევისა და მკურნალობის მეთოდის უბრალო ჩამოთვლაც კი იკმარებდა. მაგალითად, დღეს ექიმს ხელთა აქვს ენდოსკოპური თანამედროვე აპარატურა კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი, საშარდე და სხვა ორგანოების ვიზუალური დათვალიერებისათვის, მუცლის ღრუს ორგანოების დათვალიერება შეიძლება მოხდეს ე. წ. ლაპარასკოპით. დღეს გამოიყენება თანამედროვე რენტგენ-აპარატურა

დისტანციური მართვითა და ტელევიზიური მოწყობილობით. ასეთ პირობებში შეიძლება გაკეთდეს დინამიური ვიდეოჩანაწერი და იგი ნებისმიერი ვადით შევინახოთ განმეორებითი მიმოხილვისა, თუ დემონსტრირებისათვის. ფართოდ გამოყენებული მეთოდების რანგს ამჟამად განეკუთვნება გულისა და სისხლძარღვების კატეტერიზაცია მათ ღრუებში წნევის განსაზღვრისათვის, კონტრასტული რენტგენის სურათების მისაღებად, ან კიდევ სისხლის ცალკეული ულუფების ბიოქიმიური ანალიზისათვის. საგანგებო მოწყობილობები გამოიყენება სანაღვლე გზებში წნევის რეგისტრაციისათვის, მათი დათვალიერებისათვის. კლინიკაში დაინერგა რადიოიზოტოპური, ელექტროგრაფიკული და სხვა მეთოდები. დიაგნოსტიკური აპარატურის გარდა კლინიკურ პრაქტიკაში დანერგილია სამკურნალო მეთოდები, აპარატურა და მოწყობილობანი. აქ შეიძლება დავვესახელებინა ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატი, გულის ხელოვნური სარქვლები, სუნთქვის ავტომატური მართვის აპარატი, სისხლძარღვების პროთეზები, სხვადასხვა სამკურნალ-წამლო ნივთიერებების სისხლძარღვებში ინფუზიის თანამედროვე მეთოდები, თირკმლისა და სისხლძარღვების გადანერგვის მეთოდები, მიკროქირურგიული ოპერაციების ტექნიკა, ენდოვასკულარული ქირურგიული მანიპულაციები და სხვა.

დიახ, ყველა აქ ჩამოთვლილი და მრავალი სხვა სიახლეც დღესდღეობით დანერგილია ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებების პრაქტიკაში და, მაინც, მრავალი სიახლე, მეცნიერების მიღწევა ჯერ კიდევ ძნელად ინერგება. ზოგიერთი ხელსაწყო-აპარატურა და მკურნალობის მეთოდი, რომლებიც რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში უკვე კარგა ხანია დანერგილია, მხოლოდ ნაწილობრივ თუ არის რეალიზებული, რადგან მათ უფრო იშვიათად იყენებენ, ვიდრე ტრადიციულ მეთოდებს. ასევე უნდა ითქვას დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დამუშავებული თემატიკის შედეგებზეც, რა დასამალია და ზოგიერთ უკვე დაცულ და დამტკიცებულ სადისერტაციო ნაშრომთა შედეგებზედაც. ჩვენს რესპუბლიკაში მრავალ ექიმს აქვს დაცული დისერტაცია. უეჭველია, რომ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად მათი უმრავლესობა ამჟამადაც ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ არიან ისეთებიც, საკანდიდატო დისერტაციის გაფორმებით რომ დაასრულეს თავისი მეცნიერული მოღვაწეობა, ან კიდევ ისეთებიც, რომლებმაც ჯერ იყო და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წლები მოანდომეს საკანდიდატო დისერტაციის თემის დამუშავებას, შემდეგ ხელი მოჰკიდეს სადოქტორო დისერტაციას, რასაც უფრო მეტი დრო დასჭირდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს პრაქტიკული საექიმო მოღვაწეობა. ცხადია, ასეთმა ტიტულირებულმა ექიმებმა ხელიდან გაუშვეს ის ძვირფასი დრო, რომელიც საჭირო იყო პრაქტიკოსად ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება რომ მეცნიერების თანამედროვე დონის შესატყვისი იყოს, საჭიროა, პრაქტიკაში ფართოდ ინერგებოდეს ყველა სიახლე.

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა ისეთი უნიკალური აპარატურის შექმნა, რომლებზეც ახლო წარსულში ოცნება თუ შეიძლებოდა. მხედველობაში გვაქვს კომპიუტერული ტომოგრაფი და სხვა ძვირად ღირებული აპარატები, რომლებიც ჩვენში ჯერჯერობით უცხოეთიდან შემოდის. ასეთი აპარატებით საბჭოთა კავშირის მსხვილი სპეციალიზებული ცენტრები აღიჭურვებიან.

ახლო მომავალში ამ აპარატებს ჩვენი რესპუბლიკაც შეიძენს და მათი ექსპლოატაცია სრული დატვირთვით მოხდება. კლინიკურ გამოცდილებასთან ერთად უახლესი ტექნიკის რეალიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაავადებათა ადრეულ დიაგნოსტიკასა და ავადმყოფთა დროულ, ეფექტურ მკურნალობას. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით შესაძლებელია, მართებულად მივიჩნიოთ ჩვენს რესპუბლიკაში დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნა.

ეს ცენტრი უნდა აღიჭურვოს უახლესი სამედიცინო ტექნიკით და მას უნდა მოემსახუროს სხვადასხვა სპეციალობის გამოცდილი კლინიცისტები. ზოგჯერ ხდება, რომ ხანდაზმული ასაკის, ფიზიკურად ჯერ კიდევ კარგად შენახული, კლინიცისტი პენსიაზე გასვლის გამო სტოვებს პრაქტიკული მოღვაწეობის სარბიელს. მართალია ასეთი ექიმები, მაგალითად, ქირურგი, ოკულისტი, გინეკოლოგი და სხვა, თავს ანებებენ აქტიურ ოპერაციულ მუშაობას, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, რომ მათ ასეთ ცენტრში ერთხანს კიდევ ემუშავათ ახალგაზრდა სპეციალისტების გვერდით და თავისი დიდი გამოცდილება მათთვის გაეზიარებინათ. ამას რა თქმა უნდა, დიდაქტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა.

თუ დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნა რეალობად იქცევა, ალბათ, მის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც პოლიკლინიკური, ასევე სტაციონალური ქვეგანყოფილებები. დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სამკურნალო დაწესებულებებმა ხელი აიღონ დიაგნოსტიკისაგან. პირიქით, ასეთი ცენტრი მათ დაეხმარებოდა დიაგნოსტიკურად რთულ შემთხვევათა ორიენტაციაში, რადგან მას საამისოდ მეტი ტექნიკური საშუალებების გამოყენება შეეძლებოდა. დიაგნოსტიკური ცენტრისა და სამკურნალო დაწესებულებების ურთიერთშეკავშირებული თანაარსებობის პირობებში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა დიაგნოსტიკისათვის განკუთვნილი დრო.

ექიმთა პროფესიული დაოსტატება და ავადმყოფთა მკურნალობა მეცნიერების მიღწევების შესაბამისად სავსებით შეესატყვისება საექიმო დეონტოლოგიის პრინციპებს. ეს კი გულისხმობს ექიმის აზროვნების დიალექტიკურ მეთოდს — ფაქტების კრიტიკულ შეფასებას, სიმპტომებისა და მათი აღმოცენების მიზეზების ახსნას, მკურნალობის სწორი ტაქტიკის არჩევას, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს ავადმყოფის შესახებ შეკრებილი მონაცემებიდან და ა. შ.

საბჭოთა მედიცინის წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტა სხვადასხვა სპეციალისტების — მეცნიერთა და პრაქტიკოს ექიმთა წმინდა მოვალეობაა. ამ ამოცანების გადაწყვეტაში საპატიო როლი უნდა შეასრულონ ჩვენი რესპუბლიკის მედიკოსებმაც.

გეორგიევსკის ტრაქტატი 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ „დროშის“ კონკურსების შედეგები

შეჯამდა ჟურნალ „დროშის“ მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსების შედეგები.

**გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისადმი** მიძღვნილ კონკურსში მიენიჭათ: პირველი პრემია — მწერალ **ილია რურუას** მოთხრობების ციკლისათვის, მეორე პრემია — მწერალ **ნოდარ შამანაძეს** მხატვრული ნარკვევებისათვის, მესამე პრემია — მწერალ **ტარიელ ხავთასს** მხატვრული ნარკვევისათვის „ჩემი ძმის ამბავი“.

წამახალისებელი ჯილდოები მიენიჭათ მწერალ **მარგო თომაძეს** მხატვრული ნარკვევისათვის „გიორგი მეთორმეტე“ და ჟურნალისტ **გალაქტიონ მახარაძეს** მხატვრული ნარკვევისათვის „ღალადისი წარსულისა“.

კონკურსში **„ჩვენი სოფელი“** მიენიჭათ: პირველი პრემია — პოეტ **ნოდარ გურეშიძეს** ლექსების ციკლისათვის, მეორე პრემია — მწერალ **სოლომონ დემურხანაშვილს** — მოთხრობებისათვის: „ცხრა ძე ადამისა“ და „დაჭკნება ყვავილი უდაბნოში“; პოეტ **ოთარ შალამბერიძეს** ლექსისათვის „ბარათი სოფლიდან“; მესამე პრემია: მწერალ **ვახტანგ გოგოლაშვილს** — საბავშვო ლექსების ციკლისათვის „ვახო სოფლად“; მცხეთის რაიონის სოფელ ცხვარიჭამიის პიონერულ ბანაკ „ციცინათელას“ თანამშრომელს **ლალი მიგრიაულს** — პუბლიცისტური წერილისათვის „სოფელი კევლიანი“; მწერალ **ლავრენტი ჭიჭინაძეს** — საბავშვო მოთხრობისათვის „კუტკუტები“ და ნარკვევისათვის „სადაც ვშობილვარ“.

წამახალისებელი ჯილდოები მიენიჭათ ჟურნალისტ **ამბროსი დოხნაძეს** ლექსების ციკლისათვის და **მერაბ ჯაფარიძეს** მოთხრობისათვის „ბიცოლაჩემი“.

ორივე კონკურსმა ასევე გამოავლინა საინტერესო მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები, ლექსები, რომლებიც გამოქვეყნდება ჟურნალში.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მადლობას უცხადებს კონკურსების ყველა მონაწილეს.

„დროშის“ კონკურსში გამარჯვებული

სოლომონ დემურხანაშვილი

# ცხრილი და ყვავილი

მოთხრობა

— ნიკავ, გესმის, ნიკავ! არ წახვიდე თორემ, მამის სული წამიწყდეს, ხმას აღარ გაგცემ!

მაგრამ ნიკას არაფერი ესმოდა, არ უნდოდა და არ ესმოდა, ხელს არ აძლევდა და წაუყრუა.

„ბაიყუში ხარ, ადამ! მიხვდი, რომ გამოვიპარე, მიხვდი, რომ ეკალზე ვიჯექი, მაგრამ თოფით რომ დამიდგე წინა, ველარ მომაბრუნებ. გასკდა ეს ოხერი გული, გასკდა. შენ რა გესმის, ადამ, რა იცი, რა ბოლმა მჭამს და მღრღნის, შენ გული ხალვათადა გაქვს, გალაღებული ხარ, ახლა მე მკითხე, საკირეს ცეცხლი მინთია მკერდში, მწვავს და ვერცა მწვავს, ეს სატიალე“.

ნიკამ სანადიმო დარბაზის კარი მიხურა და ზურგით მიაწვა. სუფრის ჟრიამული ჩაიხშო. ხუთსაფეხურიან კიბეზე დათვივით ჩაძუნძულდა, ჭიშკარს მხრივ დაეტაკა, ეზოდან გავარდა და შეჩერდა.

შემოდგომის სასწაულებრივი ღამე იყო. ჰაერი მჩატე და ხავერდოვანი. მოკრიალებულ ცაზე სავსე ნავახშმი მთვარე მიცურავდა და ამ პატარა, მთებში ჩაფენილ სოფელს ოქროსფერ სინათლეს აფრქვევდა. ირგვლივ ყველაფერი მიყუჩებულიყო, რაც ღლისით ფეთქავს. ღრმად ეძინა სოფელს, მარტო ადამას სახლი ფხიზლობდა თავის სტუმრებიანად.

ნიკამ სუფთა ჰაერზე ცოტა შვება იგრძნო. ერთხანს გაშტერებული იდგა, აყურადებდა, მაგრამ არავინ გამოსდევნებია, აღარავის გახსენებია გამოპარული სტუმარი...

სუფრაზე ჟრიამული შეწყდა და ადამას ნაბოლარა ბიჭმა „წინ წყარო“ წამოიწყო, ისე ტკბილად და ნაზად ჩაახვია, რომ დაბოლმილ ნიკას სიამოვნებისაგან გაბურძგლა. უმცროს ძმას უფროსებიც აჰყვნენ და ეს ჩუმი, დიდებული ღამე უნაზესი ჰანგებით აივსო.

„არა, ახლა რომელი ჭკუათმყოფელი მიატოვებდა სუფრას? სუფრას და რა სუფრას, სადაც ისე ტკბილად მღერიან, რომ სვეგამწარებულ კაცსაც კი სიცოცხლეს განატრებინებს. მერე და ვინ, ნიკამ? ნიკამ მიატოვა სუფრა? სიმღერის გიჟმა, სუფრის პატრიარქმა, უბადლო მსმელმა. ვაი შენს თავს, ნიკავ, როდის იყო, ქეიფიდან იპარებოდი, როდის იყო, პურმარილს წიხლსა ჰკრავდი“... — და უცებ ტირილი მოუნდა, ოღონდ თვითონაც არ იცოდა, რამ აუჩუყა გული, იმან, რომ ასეთი ტკბილი, სიმღერებით დამშვენებული სუფრა მიატოვა, თუ იმან, რომ გამოპარულს უკან აღარავინ დაედევნა, აღარავინ მოიკითხა, აღარავის დააკლდა თვალში.

მწარედ დაიგმინა და წაძუნძულდა, მისმა ვეება ჩრდილმა საურმე გზა დაფარა.

რა ექნა, რა თავში ქვა ეხალა, ვერა და ვერ გაამხიარულა სუფრამ, კაეშანი ვერ გაუფანტა, თორემ ვინ ნიკა და სუფრიდან გამოპარვა. უყურებდა ცხრა შვილში ჩამჯდარ (ერთ დროს სოფელში ყველაზე ღარიბს) ბედნიერ ადამას და თავისი ორი ბიჭი ედგა თვალწინ, რჯულზე ხელაღებულნი, ერთიმეორის მოშურნენი, მოქიშპენი, შუბლის ძარღვი რომ გაუწყდათ და საძმო სისხლი გაუშრათ. ამან დაბოლმა ნიკა, სასმელს მიეძალა, ვინძლო ღვინომ გამახალისოსო, გულიდან ეს მძიმე ლოდი ამაგლიჯოსო, მაგრამ ვერა და ვერ ჩამოირეცხა დარდი; პირიქით, ისეთმა გრძნობამ აიტანა, თითქოს ღვიძლში რაღაც შეუძვრა და გამოჭმა დაუწყო, სული შეეხუთა, გაუძლისი შეუდგა ადამას ბედნიერების შემყურეს, თავისი შვილების გამხსენებელს და გამოიპარა, გამოიპარა და არც არავინ გამოჰკიდებია, მარტო ადამამ მიაძახა, არ წახვიდეო და, ეტყობა, იმასაც მიავიწყდა, იმანაც ფეხებზე დაიკიდა.

შარაგზის გადაღმა, სოფლის განაპირას, ნიკას სახლი გამოჩნდა, როგორც ცხვრის ფარაში ყოჩი, ისე გამოირჩეოდა სხვა სახლებში, ვეება ეზოში იდგა გაბოტილი. ერთი შეხედვით თითქოს პატრონს წააგავდა, ისიც ისეთი იყო, მაღალი, მხრებგანიერი, მიწაზე მყარად მდგარი და სივრცეს ხარბად დაწაფებული. სახლის ვეება აივანი ახლაც განათებულია. იქ, რომელიღაც ოთახში მარტო ნიკას ცოლია და მძინარეს ალბათ შვილები და შვილიშვილები ესიზმრება.

ნიკა შეჩერდა. თვალები ავად მოჭუტა და ისე გახედა თავის ვეება სახლ-კარს. უყურა, უყურა და უცებ ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს იქაურობა გველ-ბაყაყების საბუდარი ყოფილიყოს.

— პატრონი მოგიკვდეს, — ხმამაღლა, თითქმის ყვირილით თქვა ნიკამ, — ოხრად დარჩი და გატიალდი! აკი რჩები კიდეც ოხრად! — ბრაზიანი სიცილი აუვარდა უცებ, მერე ასევე უცებ მოიღუშა და კბილებში გამოსცრა, — დედას გიტირებ პატრონისას, ამაღამვე დაგიდებ ბომბსა და აგაფეთქებ, ნაცრად გაქცევ, ნავთს გადაგასხამ და დაგწვამ, ბულდოზერს მოგაყენებ და დაგანგრევ, მე რაღა ჭირად მინდიხარ, ვისთვის მინდიხარ, ჩემი ჯანი შენ შეგაჭამე, ხალხის ყბაში ჩამაგდე, გარეთ მტერს აბრმავებ და შინ მოყვარეს, პატრონის დედას გიტირებ, დაგწვამ, დაგბუგამ! უკვე ცოფმორეულმა ნიკამ კბილები გაალრჭიალა, მოჭიდავე ბუღასავით დაღუნა თავი და ისე გაქანდა თავის სახლისაკენ, თითქოს რქებით უნდა დაეტაკოს და გაიტანოსო.

ადამას ბიჭები კი ამ დროს ბარათაშვილს ჩახტომოდნენ და თავზე ბანს აქცევდნენ, ჭერი ცაში აჰქონდათ.

* * *

ეს წუთისოფელი ვეება ცხრილს წააგავს. ყველას იქ მოუყრია თავი: ცრუსა და მავნეს, ბრძენსა და სულელს, გაიძვერასა და გულმართალს, დიდსულოვანსა და ზნედაცემულს, ზარმაცსა და მუყაითს, ხელმრუდსა და ალალმართალს, ერთგულსა და ორგულს.

ხდება ხოლმე, აღზევდებიან უზნეონი და გარეწარნი, ლამის გადასძოვონ ამ ღვთის ნებით გაჩენილი სოფელი, წკიპზე მიიყვანენ და რომ იფიქრებ, მორჩა, სუნთქვა აღარ შეიძლებაო, აი, ამ დროს მოვა უხილავი ძალა განგებისა. შემოჰკრავს ხელს ამ ცხრილსა და გაცხრილავს სარეველასაგან, აღადგენს წონასწორობას.

ნიკასაც მოუწია ამ ცხრილში გატარება...

ახოვანი ვაჟკაცი დადგა ნიკა, ძარღვიანი და ჩასკვნილი, წელში ოდნავ მოხრილი, მოუხეშავი, ჩუმი, ალალი და მორიდებული. ქორწილამდე მეტწილ დროს ძმაბიჭებთან ქეიფში ატარებდა, ღვინოს ხარივით სვამდა და რასაც შოულობდა, სასადილოში ჰყრიდა. ასე გადიოდა დრო და აგერ, ოცდაათი წლის ნიკა უცებ პელოზე ტრაქტორს [illegible]. ამ ჭმუნვას არავინ მოელოდა. ყველას უკვირდა რაიონში ცნობილი, [illegible] ქალი [illegible] როგორ გაჰყვა. პელო იმჟამად რაიაღმასკომის ინსტრუქტორად მუშაობდა, დიდთან თუ პატარასთან, წვრილფეხთან თუ მსხვილფეხთან დაახლოებული და შეთამამებული იყო.

აქედან დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება ნიკასი. რამდენიმე თვეს, ვიდრე ახლადშეუღლებულნი ცხოვრებას თავის კალაპოტს მისცემდნენ, ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა. კალაპოტი კი ადვილად იპოვნეს, ადვილად შეთანხმდნენ და შეხმატკბილდნენ, რადგან მოუხეშავი, ხამი ნიკა ცოლის ალერსმა ისე დაბინდა და გააოგნა, რომ წნელივით მოქნილი და მორჩილი გახდა. პელოსაც ეს ეწადა, თავის ფანდურზე მომართა ნიკა, რბილი, მაცდური ლაგამი ამოსდო და გეზი მისცა.

— იცოდე, ნიკავ, თუ გინდა ცხოვრება რიგიანად ავაწყოთ, მე უნდა დამიჯერო.

და ნიკაც უჯერებდა, რადგან მეუღლე ჭკვიანი, განათლებული და ალღოიანი დიაცი იყო.

— აყოლაც უნდა იცოდე და ჩაყოლაც, თუ საჭიროა, უფროსთან მუშტისოდენა უნდა გახდე, ლომი კატად უნდა გადაიქცე და ბუხუნის მაგივრად კნავილი ისწავლო.

ისმენდა ნიკა ამ შეგონებას და უხმოდ, მორჩილად იქნევდა თავს.

იმ დღიდან ნიკასას სტუმრიანობა გახშირდა, სოფლის თავკაცები დადიოდნენ ხშირად. ბულბულის ენა ჰქონდა პელოს, მოქარგული და დათაფლული. ღიმილი ჰქონდა იმისთანა, კაცს გათანგავდა. მთლად მახინჯს ყველაზე ლამაზად შერაცხავდა, მთლად ლენჩსა და უვიცს, ბრძენკაცობას დააბრალებდა. აბა ამის შემდეგ ვის არ ესიამოვნებოდა პელოს დიასახლისობა და მასპინძლობა: ხათრს ვინ გაუტეხდა, ვინ არ გადაეშვებოდა იმის გულისთვის ცეცხლში. და აგერ, მოკლე ხანში ნიკა ფერმის გამგედ დანიშნეს. თითქოს თამაშთამაშით გადის დრო და მიათრევს წლებს. ნიკას ოჯახი წელში გაიძალა. უფრო მოხშირ-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

და სტუმარი, წვეულება წვეულებაზე იმართება, ამჟამად სოფლის თავკაცებს რაიონის წარმომადგენლებიც ემატებიან. უფრო ხელგაშლით დიასახლისობდა პელო, უფრო ტკბილად იღიმებოდა, ქათინაურებს არ იშურებდა სტუმრებისათვის და ნიკამ კიდევ ერთ საფეხურზე აინაცვლა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა. მამისეული სახლი უმცროს ძმას დაუთმო და თვითონ ახალი აიშენა, გალესა, გამართა, ავეჯით გააწყო და მოკალათდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება თავის ნება-სურვილზე მომართა, ახლა სიცოცხლე და ჯანმრთელობაღა იყო სანატრელი. მაინც რაღაც სტკიოდა ნიკას, ერთ რამეზე ეთანაღრებოდა გული, ორ შვილზე მეტი არ გაუჩინა პელომ, არადა, ადათად ჰქონდა ნიკას გვარის ჩამომავლობას მრავალშვილიანობა. მამამისს რვა ჰყავდა, ბიძამისს — შვიდი, აგე, იმის გარებიძაშვილს, ადამას ცხრა ჰყავსა და, ეს ბოკვერები ერთ პატარა ბუდრუგანაში იზრდებიან.

— პელო, — ეტყოდა ხოლმე შეზარხოშებული ნიკა ცოლს, — ერთი მითხარი, სოფელში ვისზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ, გინდა ქონებითა და გინდა კაცობითა?!

— არავისზე, მერე?

— ავადმყოფი და მახინჯი შვილები გვყავს?

— ღმერთმა დაგვიფაროს.

— მაშ სხვას რათ უნდა ჰყავდეს ჩემზე ბევრი შვილი? — და ნიკა ამოიოხრებდა.

პელო კისკისებდა.

— ნიკავ, ადამასი ხომ არა გშურს, ღვთის ანაბარა რომ ჰყავს შვილები დაყრილი და ლუკმა ენატრებათ. არ იცი, რა დროა, შვილების დაჩენა კი არ არის საქმე, აღზრდაა.

— ღმერთის გაჩენილს, ღმერთი დაარჩენს. თვითონ დაიზრდებიან.

— გაზრდა კი არა, აღზრდამეთქი, კაცო, წესიერი აღზრდა, სწავლა, განათლება. ახლა ისეთი დროა, უსწავლელს ბრიგადირადაც არ გაუშვებენ.

ნიკა ენას მუცელში ჩაიგდებდა. ძუძუს გოჭივით გაინაბებოდა. თვალწინ დაუდგებოდა ნასწავლი შვილები, თანამდებობის პირები. არა, რაღა სხვისი შვილები უნდა იყვნენ ნასწავლები და ნიკასი არა: პელო ჭკვიანი ქალია, იცის, რასაც აკეთებს.

გავიდა დრო. ნიკას უფროსმა შვილმა სკოლა დაამთავრა და ქალაქში წავიდა სასწავლებლად. გაიძრო ნიკამ ერთი პირი ტყავი და როგორც იყო სამედიცინოზე მოაწყო. ახლა მეორემ დაამთავრა, ნიკამ მეორე პირი ტყავიც გაიძრო და ისიც ინსტიტუტში მოაწყო.

...და უცებ მოვარდა ის უხილავი ძალა განგებისა, შემოჰკრა იმ ცხრილს ხელი და სხვა სარეველასთან ერთად ნიკაც გაცხრილა, ნიკაცა და იმასი მეუღლე პელოც. გეყო, რაც თათი ილოკეო, ახლა სხვა დროა, წესიერი ხალხის ჯერი დადგაო. დადგა და დადგესო, გულს არ შემოჰყრია ნიკას, შვილები უკვე გზაზე ჰყავდა დაყენებული, სახლ-კარი კარგი ჰქონდა და ძველი ქონიც მოსდევდა. სადაც სხვა ათასი, ნიკაც იქა, ისიც კოლმეურნეობაში გავა და იმუშავებს, ხანაც მამის ხელობას გაიხსენებს, თიხას მოზელავს და ჭურჭელს მოსჭრის.

ამასობაში ნიკას შვილებმაც დაამთავრეს და სამსახურშიც ჩადგნენ. ეგ არის და ამოვისუნთქეო, იფიქრა ნიკამ, შვილები ახლა აქეთ თუ შემეწევიან, თორემ ჩემი ხელის წახმარება რაში სჭირდებათო, მაგრამ ვაი, რომ ეგრე არ იყო, როგორც თვითონ ბჭობდა; ქორწილი გადაიხადეს, ნიკას კისერზე გადაიარა, ბინები მიიღეს ქალაქში და, არიქა, მოსაწყობი გვაქვსო, ისევ ნიკამ გაიძრო ტყავი. ვერა და ვეღარ დაიცხრეს მადა, ხან ერთი შვილი გაუშვერდა ხელს, ხან მეორე, თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, თითქოს ერთმანეთს ედგნენ ჯიბრში. არადა, დაბერდა, ნიკა, ჯანი გაუტყდა, ხალისი დაკარგა და რაც ყველაზე შემზარავი იყო, გულმა რაღაც ავი უგრძნო, — სიმარტოვის შიში შეუჯდა და ჩუმად ხრავდა. საამისო საბაბიც ჰქონდა, შვილებმა თანდათან მოუკლეს სოფელში ჩამოსვლას. ადრე ყოველ ზაფხულს ცოლშვილიანად ჩამოდიოდნენ, სახლს აახმაურებდნენ ხოლმე, მერე კი ნელ-ნელა ამოიკვეთეს ფეხი, რთველობისას თუ ჩამოქაქანდებოდა ან ერთი შვილი ან მეორე, დღესასწაულების წინაც ჩამოეხეთქებოდნენ ღვინის წასაღებად, თანაც სულ ჩქარობდნენ, დრო არა გვაქვსო. ერთად კი რატომღაც აღარ ჩამოდიოდნენ...

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ ზაფხულს ნიკას რძლები წაკინკლავდნენ, აიკრეს გუდა-ნაბადი და ქალაქში გავარდნენ. არ ეგონა ნიკას, თუ ეს პატარა წაკინკლავება, ეს პატარა ბზარი ეგრე ღრმად გაიდგამდა ფესვებს და ძმებს სამტროდ გადაჰკიდებდა. უთვალა და უთვალა ნიკამ, ორივენი ჩამოდით, სახლის სახურავია გამოსაცვლელი, ფული ჩემი იყოს, უბრალოდ ხალხმა დაგინახოთ, რომ ამ სახლ-კარს პატრონი ჰყავსო, მაგრამ ორივენი გაჯიქდნენ, ფეხი არ ჩამოდგეს. რა ექნა ნიკას, ადგა და გაბოროტებულმა ცოლს დეპეშა გააგზავნინა, მამათქვენი ძალიან მძიმედ არის და ჩამოდითო.

ცალ-ცალკე ჩამოვიდნენ. ჯერ უფროსი გამოჩნდა თავის მანქანით, მერე უმცროსი ავტობუსით. ნიკას პირკატა ეცა, არ ესიამოვნა უფროსი შვილი რომ მარტო დაინახა.

— ის რატო აღარ წამოიყვანე?

— მეჩქარებოდა, სად მეძებნა. შენ ის მითხარი, რა იყო ის დეპეშა, რა დაგემართა?

პასუხი შეუგვიანა. მიხვდა, შვილმა ბანზე აუგდო სიტყვა.

— ეგრე არ გარგებთ, — ამოიოხრა ნიკამ, — მტრის გასახარად იქცევით. აგე, სახლის სახურავი ჩამოლპა, როგორც გარეთ წვიმს, იგრე შიგნით. მე თავი აღარა მაქვს. იშოვეთ კაცი და გამოაცვლევინეთ.

— მე რაღა ვქნა, მამაჩემო,— გაცხარდა უფროსი ბიჭი, — იმ შენ შვილსა ჰგონია, რომ აქაურობას მე დავეპატრონები. არ მინდა, კაცო, არაფერი... ცოლის ენამ გადარია, მანქანა შენ გიყიდესო, ფული შენი შვილის სახელზე შეაქვთ სალაროშიო. აი, აქა ხარ და თქვი, შენ მიყიდე მანქანა? ფული შენ დადე? ნახევარი ხომ ჩემი იყო.

ნიკა ხმას არ იღებდა. ბოლმას გაექვავებინა და დაემუნჯებინა.

— ამოიღე, კაცო, ხმა, შეაგნებინე იმ მუდრეგს. არა და, ბინა რომ მიიღო, იმასაც ხომ მიატიალე სამი ათასი, უკან დაგიბრუნა? ჰა, უკან დაგიბრუნა?

— ეეჰ, რა უნდა გელაპარაკოთ, აბა! — ამოიოხრა ნიკამ, თავი გადააქნია და შვილს გაერიდა.

საღამოს უფროს ძმას უმცროსი ძალით ჩაუსვეს მანქანაში და თბილისში ისე გამოისტუმრეს. ნიკამ მერე გაიგო, თურმე თბილისამდე ისე ჩასულან, ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.

• • •

აი, რა ბოლმა სჭამდა ნიკას, აი, რად გამოიპარა სუფრიდან, ვაი შენს თავს, ნიკავ, დედაკა-



# ვალი მშობელი მიწისა

ნარგიზა მგელაძე

მხატვრების — შოთა, მარგარიტა და მერაბ მეტრეველების სახელოსნო ოქტომბრის ქუჩაზე რაღაცით ტაძარს მოგაგონებთ.

სახელოსნოში თავმოყრილია დიდი ნაწილი იმ ნამუშევრებისა, რაც წლების მანძილზე რუდუნებით შეუქმნიათ, რაშიც ჩაუქსოვიათ გული, ნიჭი, სამშობლო ქვეყნის, მისი ადამიანების უსაზღვრო სიყვარული, სიკეთისა და მომავლის რწმენა.

დიახ, ყველა, ვინც ამ სახელოსნოს ზღურბლს გადააბიჯებს, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების მარგარიტა და შოთა მეტრეველების და მათი ვაჟის მერაბის შემოქმედების მშვენიერ, საოცარ სამყაროში აღმოჩნდება.

ის, რაც უთუოდ თვალშისაცემია, მეტრეველების ნამუშევრებში არის ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, პატრიოტიზმი...

ეს არის ჭეშმარიტად გულწრფელი ხელოვნება, რომელიც ხალხურია თავისი ბუნებით, ფესვებითა და სულისკვეთებით, თავისუფალია ყოველგვარი ცრუაკადემიური ნორმებისა და ყალბი სტილიზაციისაგან.

სიცოცხლის სიხარულით არის გამთბარი მარგარიტა და შოთა მეტრეველების სამშობლო ქვეყნის ლაჟვარდოვანი ფერებით ამეტყველებული პეიზაჟები, ერის თავკაცების თუ უბრალო მშრომელი ადამიანების ყოფისა და ცხოვრების, მათი გმირობისა თუ ყოველდღიურობის ამსახველი სურათები, ისტორიული ძეგლები, რომელთა ყოველი ქვა ღაღადებს ქვეყნის გმირულ წარსულზე, ისინი მართალნი არიან თავიანთ ხელოვნებაში, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელოვნების არც ერთ ნაწარმოებში ისე მკვეთრად არ გეცემათ თვალში მხატვრული სიმართლე თუ სიცრუე, როგორც ერის ყოფისა და ცხოვრების, მისი წარსულის თუ აწმყოს ამსახველ ქმნილებებში. აქ ვერ მოიტყუებ, პოზას ვერ მიიღებ, რადგან ეროვნული ამ შემთხვევაში ვერ ეგუება უცხოს, იგი თვითონ მოითხოვს და გიკარნახებს გულწრფელობას.

მეტრეველები კი იმთავითვე, ესე იგი სამამულო ომის წინა წლებში, როცა მათი თაობა სახვით ხელოვნებაში მოვიდა, დადგნენ რეალისტური ხელოვნების პოზიციაზე და ბოლომდე არ უღალატნიათ მისთვის.

1944 წელს თბილისის სურათების გალერეაში მოეწყო მათი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა.

მას შემდეგ მეტრეველებს 65 პერსონალური გამოფენა ჰქონდათ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. ყოველ ახალ გამოფენაზე სურათების დიდი ნაწილი ახალი ნამუშევრებით იცვლებოდა.

ამ გამოფენებმა მხატვრები კიდევ უფრო დაუახლოვეს ხალხს, აგრძნობინეს მისი გულისთქმა, უკარნახეს ახალი თემები, დაარწმუნეს იმაში, რომ ხელოვნების მთავარი მიზანია, სიხარული აჩუქოს ადამიანებს.

მარგარიტა და შოთა მეტრეველების პედაგოგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, აკადემიკოსი მოსე თოიძე, კმაყოფილი თავისი მოსწავლეების ასეთი პროდუქტიულობითა და ხელოვნების ხალხთან ახლო მიტანის სურვილით, წერდა: „...ეს ორი ახალგაზრდა მხატვარი, გარდა იმისა, რომ სერიოზულად მუშაობს თავის თავზე, რეალისტური მხატვრობის ტექნიკის განვითარებაზე, ფორმისა და თანამედროვე შინაარსის შედუღებაზე, ცდილობს და ახერხებს თავისი ხელოვნების მშრომელ მასებთან მიტანას. ასეთ მაგალითს უნდა მიბაძონ სხვა ახალგაზრდებმაც, თუ სურთ, იყვნენ თავისი ერის ერთგული შვილნი"

მერაბის გატაცება მხატვრობით უფრო კანონზომიერი იყო, ვიდრე შემთხვევითი. მოლბერტი და ფუნჯი იყო მისი პირველი სათამაშო. ცოტა მოგვიანებით ძერწვის სურვილმა იმძლავრა. 1972 წელს იგი ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიას ქანდაკების განხრით.

„დროშის" მკითხველებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ („დროშა" № 7, 1983 წ.) მერაბ მეტრეველის ქანდაკების „განთიადის წინამორბედის" ფოტორეპროდუქციას.

„დიდი ხანია გულს ირაკლისა გარდუწყვეტია ბედი ქართლისა"... ახლა კი მას ხელთ უპყრია ხორცშესხმული მიზანი — სამეგობრო ტრაქტატის ტექსტი, რომელიც სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას მშვიდობიან ცხოვრებას ჰპირდება.

ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ სახელგანთქმული ირაკლის ხმალი — „ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა" მის პატრონს მარჯვენიდან მარცხენაში გადაუტანია. სახეს დაძაბული ფიქრის კვალი ატყვია.

უფროსი მეტრეველების ფერწერული ტილოებიც, რომელთაც იმავე ნომერში გაეცანით, სწორედ ამ მარადიული თემის — ხალხთა მეგობრობის კოლორიტული ხორცშესხმაა.

შოთა მეტრეველი წელს გარდაიცვალა.

მოკრძალებული ხელოვანი თვლიდა, რომ მშობელი მიწის ვალი ჯერ კიდევ გადაუხდელი ჰქონდა. უკანასკნელ წუთამდე ფუნჯი ხელიდან არ გაუშვია, მაგრამ ის, რაც დარჩა, დიდხანს მიანიჭებს სიხარულს ადამიანებს, ხოლო რასაც შექმნიან მარგარიტა და მერაბ მეტრეველები, ალბათ, კვლავ იქნება მშობელი მიწისათვის ვალის დაბრუნების კეთილშობილური ცდა.

---

ცის ჭკუაზე როგორ გაიარე, არ იცი, რომ დედაკაცი ეშმაკზე ადრეა დაბადებული. აგე, ადამამ ცხრა გაზარდა, უფროსმა უმაღლესი დაამთავრა და რაიკომში მუშაობს, მეორე დურგალია, მესამე კალატოზი, მეოთხე ცხვარშია, მეხუთე სახლებს ლესავს, მეექვსე ბრიგადირია, მეშვიდე ნოქარი, მერვე ტრაქტორზე მუშაობს, ხოლო ნაბოლარა შოფერია. ადამას ბუდრუგანიდან გამოსულმა ცხრა ბოკვერმა ცხრა სახლი დადგა. სილის სოკოებივით უცებ ამოიზარდნენ სახლები ერთ უბანში. ნაბოლარამ მამისეული ქოხი დაანგრია და საძირკველზე დადგა სახლი, ახლა სწორედ იმის ნადიმს იხდიდა.

ადამა ბედნიერია, ნიკა — უბედური. ვის დაუჯერე, კაცო. ან სახლი რად გინდოდა ან ქონება. შენა ყოფილხარ, ადამ, ბრძენი კაცი, ლუკმას ძლივს აჭმევდი შვილებს და ახლა ხელისგულზე გისვამენ, ნიკას ქონება კიდევ ლიმონივით გამოწურეს შვილებმა და ძაღლივით მიაგდეს, არა, კაცს ერთი ბუდრუგანა უნდა ჰქონდეს. გოჭებივით დაყაროს შვილები და არც გასაყოფი ექნებათ რამე და არც სადაო. ვაი ნიკას თავსა, მარტოობაში ამოძვრება სული. მერე იმ დიდი სახლის მოაჯირზე ნიკას სურათს გააკრავენ და შავ ნაჭერზე წააწერენ: დავტირით საყვარელ მამასაო. ისემც მამა უცხონდებათ! ეგ კი არა, მაშინვე სახლ-კარისა და ქონების გაყოფაზე დაირევიან. რისთვის გაგზავნა იმ სატიალე ქალაქში, აღზარდაო, ასწავლაო, ვისები გამოვიდნენ ბოლოს აღზრდილები, ნიკასი თუ ადამასი? ადამას ბიჭები ერთმანეთისათვის არიან გადამკვდარი, ნიკას ნასწავლ შვილებს კიდევ გულზე კუპრი წაუსვიათ და ეშმაკის ძუძუს სწოვენ...

ნიკა თავის ჭიშკართან შეჩერდა და როგორც მოსისხლე მტერს, ისე გახედა თავის სახლს.

— დედას გიტირებ პატრონისას. მაშ ნიკა ნუ ვყოფილვარ, თუ ნაცარტუტად არ გაქციო. რისთვის მჭირდები, ვისთვის მჭირდები, დედას გიტირებ პატრონისას, დედას!

* * *

მეორე დღეს წყაროსთან შეყრილი ხალხი უცნაურ ამბავს ჰყვებოდა. წუხელ ნიკა მთვრალი მისულა შინ, ყველაფერი დაუღეწავს და სახლიდან წასულაო.

არავის ეჯერა, ვინ ნიკა და ამის მქნელიო. ადამა იფიცებოდა: ჩემგან ფხიზელი წავიდა, შუა პურის ჭამიდან გაიპარაო.

მაშ რას უნდა მივაწეროთ ნიკას საქციელიო, მხრებს იჩეჩავდნენ მეზობლები და ვერაფრით ვერ აეხსნათ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რომელი ეშმაკი და ქაჯი ჩაუჯდა სულში.

აბა ვინ იცოდა, რა ბოლმა სჭამდა ნიკას და რა ცეცხლით იწვოდა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ვანის რაიონის სოფელ მთისძირის მოწინავე მევენახე შალვა მამფორია.

საზაფხულო იალაღებზე.



ფოტო გონდო დვალიშვილისა.



ა. ეჟოვი — „ბულბულის ღამე“ (ნოვოსიბირსკის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დადგმა).

ა. ტრენიოვი — „ლუბოვ იაროვაია“ (ჩელიაბინსკის დრამატული თეატრის დადგმა, 1982 წ.).





ა. ტომა — „რვა შეყვარებული ქალი“ (ნოვოსიბირსკის დრამატული თეატრის დადგმა).

# დემურ დიდიშვილი

ა. ტომა — „რვა შეყვარებული ქალი“ (ტომსკის დრამატული თეატრის დადგმა, 1981 წ.).





ა. ნედობროვო — „ნასტენკა“. (თბილისი, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დადგმა, 1980 წ.).

კ. გამსახურდია — „მთვარის მოტაცება“ (ქუთაისის დრამატული თეატრის დადგმა. 1982 წ.).












მოწინავე მწყემსი ნაუმ გაბუნია.

პატარა ვანელები.

კულტურის სახლთან არსებული საბავშვო საესტრადო ანსამბლი „საპოვნელა".

ვანის რაიონის კულტურის სახლი. საჭადრაკო წრის მეცადინეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რევაზ ჯაფარიძე

## სოფელი ბაჯითი, 1983 წლის 8 ოქტომბერი

ძვირფასო ბაჯითელებო, ამ ბედნიერი და მშვენიერი სოფლის მკვიდრებო!

დღეს თქვენ, საჩხერის რაიონის საზოგადოებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებთან ერთად, საზეიმოდ აღნიშნავთ რუსთაველის პრემიის ლაურეატის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — რევაზ ჯაფარიძის სახელოვან იუბილეს.

აქ, ამ კეთილ და მადლიან სოფელში, გვირგვინივით რომ ადგას მთელ ზემო იმერეთს, დაიბადა და გაიზარდა მომავალი მწერალი. ქოჩორა ბიჭი იყო აქედან რომ გაემგზავრა დედათბილისში. გავიდა ცხოვრების დიდ სარბიელზე, დიდი სახელიც მოიხვეჭა და ახლა თავის ნააკვნარში დაბრუნდა გამარჯვებული ვაჟკაცი, საქვეყნოდ ცნობილი და წარჩინებული პიროვნება, ვინც ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე აიტანა თავისი მრავალტომიანი „მძიმე ჯვარი“.

აგერ თქვენს წინაშე, ბავშვივით აღელვებული დგას რევაზ ჯაფარიძე, ვინც თქვენი სოფლის სახელი „გასტყორცნა, გააჯირითა“, ვისაც ჭაბუკური ენერგია არ დაჰკლებია, არც ბაჯითისა და მისი მკვიდრების სიყვარული განელებია ჟამთა სვლაში. პირიქით!

მე რა უნდა მოგითხროთ თქვენს ღირსეულ შვილზე ისეთი, თქვენ რომ არ უწყოდეთ. უთუოდ გახსოვთ მწერლის დიდებული მშობლები — ნატალია ტყემალაძე და ანდრია ჯაფარიძე, კარგად იცნობთ მის შესანიშნავ დებს და უმცროს ძმას, სხვა ახლობლებს. თანასოფლელის შემოქმედება კი ისე გულმოდგინედ შეგისწავლიათ, აღტაცებას ვერ ვფარავთ მეგობრის პატივსაცემად აქ ჩამოსული მწერლები.

...ჩვენს თვალწინ ელვის სისწრაფით ჩაიქროლეს ათეულმა წლებმა და დღემდე ახალგაზრდული ცეცხლით, მგზნებარებით, ტემპერამენტით აღსავსე ერთი თაობა ქართველი მწერლებისა უკვე მიადგა ადამიანთა მეორე საიუბილეო თარიღის კარიბჭეს.

ამ თაობას შესვენებისა და მოსვენების ჟამი არცა ჰქონია, მძიმე და მწარე პერიოდში მოუხდა ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლა. არც მოწაფეობისა და შეგირდობის საშუალება მიეცა მას, არც ხანგრძლივი შემოქმედებითი ვარჯიშებისა და დაუსრულებელი ექსპერიმენტებისა.

თაობა სახალხო, საერო, სამომავლო საქმეებს მოეჭიდა და თან მშობლიური მწერლობის თავისი წილი ჭაპანი აიკიდა მხრებზე.

თაობის მედროშეთა თუ ჯარისკაცთა ღირსება ის არის, რომ თავიანთ მწერლურ მოვალეობას ისინი მშობელი ხალხის სამსახურში ხედავენ. მათთვის უცხო იყო ყოველგვარი საშუალებით იაფფასიანი პოპულარობისათვის ბრძოლა. იყო და ასეა დღემდეც!

აი ამ თაობის, ისევე როგორც მთელი ჩვენი მწერლობის, დამამშვენებელი და სიამაყე გახლავთ თანამედროვე ქართული პროზის ნამდვილი დიდოსტატი რევაზ ჯაფარიძე — რომანისტი, პუბლიცისტი, ერისკაცი.

რევაზ ჯაფარიძემ ამაყად გადააბიჯა თავისი მეორე საიუბილეო თარიღის კარიბჭეს — იგი 60 წლისა გახდა.

ჩვენც გვიხარია, რომ ახალგაზრდული ენერგიით არის აღსავსე რევაზ ჯაფარიძე — იუბილარი; ჩვენც ვამაყობთ მისი მაღალი რეპუტაციით, შესანიშნავი წიგნებით, სამაგალითო მოქალაქეობით.

და პირადი მეგობრობითაც.

არა, ნურვინ იფიქრებს, რომ ადვილი იყოს მასთან მეგობრობა; შაქარ-ყინულივით ხასიათი როდი აქვს ამ მუდამ სამართლიანად შემართულ კაცს. მაგრამ იგი საოცრად გულთბილია და ნაზი, როცა ეს სითბო გულისა და სინაზე მალამოსავით სჭირდება მეგობარს, ახლობელს, ხშირად უცხოსა და უცნობს...

მასთან ძნელია კამათი. ძნელია და სასიამოვნოც, რადგანაც ძალუძს მეორე მხარის ყურადღებიანი მოსმენა. მოსმენის ნიჭი ცოტას მისცა ღმერთმა, შეცდომის აღიარებისა — უფრო ნაკლებს. რევაზ ჯაფარიძეს კი ბუნებისაგან უხვად აქვს მომადლებული ეს და ბევრი სხვა ძვირფასი, რაინდული თვისება...

მცირე სიკეთესაც არ დაგიკარგავს, ისეთი მეხსიერება აქვს ამ დალოცვილს. იგი როდი ჰგავს ისეთ ხალხს, სხვათაგან უსაზღვრო ყურადღებას და ერთგულებას რომ მოითხოვს, თავად კი ელემენტარული მოვალეობის გრძნობაც არ გააჩნია.

რევაზ ჯაფარიძე მართლაც რომ მოვალეობის კაცია. თუ სიტყვა მოგცათ, დარწმუნებული იყავით, არ უღალატებს მას.

ერთი მაგალითი.

1962 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ (მაშინ იქ ვმუშაობდი) ითავა მარუხის ბრძოლების გმირებზე მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოების შექმნის საქმე.

შევეხმიანე რევაზ ჯაფარიძეს, რომელიც ჩვენი არმიის ჯარისკაცად ითვლებოდა დიდი სამამულო ომის დღეებში.

ო, როგორი პასუხისმგებლობით, მონდომებითა და სიყვარულით შეუდგა მწერალი კავკასიისათვის ბრძოლების ლეგენდარული ისტორიის შესწავლას! მრავალგზის ავიდა მთებში, მარუხზე, სადაც საბჭოთა მეომრებმა თავიანთი სისხლით გადაუკეტეს საქართველოსკენ მომავალი ყველა ბილიკი ჰიტლერის ჯარებს.

თავად გახლავართ მოწმე იმისა, თუ რარიგ ეძებდა მარუხის ბრძოლების თვითეულ მონაწილეს რევაზ ჯაფარიძე — ღირსეული მეხოტბე მამულიშვილებისა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე უყოყმანოდ შესწირეს დედასამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას, დამფასებელი იმ გადარჩენილი გმირებისა, რომელთა წყალობითაც მწერალმა გააცოცხლა ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთი გმირული ფურცელი.

„ნაკადულთან“ შემოქმედებითი მეგობრობის საფუძველზე შეიქმნა უმშვენიერესი წიგნი „მარუხის თეთრი ღამეები“.

მოვალეობის გრძნობაზე მოგახსენებდით. სწორედ მოვალეობის გრძნობამ გადაადებინა სხვა დროისათვის თავისი იმდროინდელი შემოქმედებითი ჩანაფიქრი მწერალს და შეასრულებინა თავისი პირობა.

ვიდრე ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყოდე ძვირფას მეგობარზე, ჭეშმარიტად დიდ ქართველ მწერალზე, მინდა გაგახსენოთ მცირე ნაწყვეტი რევაზ ჯაფარიძის მძაფრი პუბლიცისტური წერილიდან „ვინ არ არის კახაბერი“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ცისკრის“ 1966 წლის მე-3 ნომერში:

„მე ვლაპარაკობ ობივატელობისა და ინტერესთა სივიწროვის წინააღმდეგ, პირადი კეთილდღეობის მიღწევით თავბრუდახვევის წინააღმდეგ და დამპალი ჭაობისადმი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის დამოკიდებულების შესახებ“.

აქ არც დრო არის და არც საჭიროება იმისა, რომ მთლიანად შევახსენოთ შინაარსი ამ ვაჟკაცური და ნამდვილად პარტიული გამოსვლისა ტრიბუნაზე, რომელსაც ჟურნალ „ცისკრის“ რუბრიკა „ფიქრები ხმამაღლა“ ეწოდებოდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს წერილი იყო ერთ-ერთი პირველი და საგრძნობი დარტყმა იმ მოვლენების წინააღმდეგ, იმ ჭაობის წინააღმდეგ, შემდეგში რომ ეწოდა „ნეგატიური მოვლენები“.

რევაზ ჯაფარიძე მშობელი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს, მისი ტკივილი სტკივა და მისი სიხარული აცოცხლებს. თუ შეიძლება ასე ითქვას, მის საწერ მაგიდაზე მუდამ ცეცხლი ანთია. თავისი შრომით, თავისი შემოქმედებით კმაყოფილი რევაზ ჯაფარიძე ჯერ არ გვიხილავს. იგი მუდამ ეძიებს, მაგრამ არასოდეს ღალატობს მშობლიური მწერლობის მაგისტრალურ ხაზს.

ეჭვი არ გვეპარება, რომ „ჯარისკაცის ქვრივის“, „მარუხის თეთრი ღამეების“, „მძიმე ჯვრის“ ტომეულებს იგი გვერდით ამოუყენებს ახალ დიდებულ მოთხრობებსა და რომანებს, არც არასოდეს დაცხრება მისი პუბლიცისტური სტატიების მგზნებარება.

...ბედნიერი იყოს, ძმაო რევაზ, დღევანდელი შეხვედრა შენს სოფელთან, შენს ბავშვობასთან!

ხუტა ბერულავა

იმ დღეს თბილისში მზე იდგა, მაგრამ ქუთაისში კოკისპირული წვიმა დაგვხვდა. ნისლის ბური ეფინა გარემოს. ჩვენი თავდაპირველი სურვილი, რომ მესტიაში ჩავფრენილიყავით და შემდეგ უშგულზე გადმოგვევლო, ამაო გამოდგა და გეზი ლენტეხისაკენ ავიღეთ.

გზა მდინარის ნაპირს მიჰყვება. ნისლდაყრილი მთები ნაბადმოსხმული გოლიათებივით გადმომდგარიყვნენ მდინარის თავზე. მოაგორებდა მდინარე ყორნისფერ ტალღებს. მოჰქონდა კიდეწაჭმული ფლატეების ნარღვევი და ძირფესვიანად ამოგლეჯილი ხეები.

ლენტეხში წვიმამ ერთხანს თითქოს გადაიკარა, მაგრამ მალე ისევ ჩამოწვა სქელი ნისლი და წვიმაც წამოუშინა.

წვიმა მთაში განსაკუთრებით გულგამაწვრილებელია, მითუმეტეს, როდესაც მთიელი გლეხკაცი საზამთროდ ემზადება, საქონლის საკვებს იმარაგებს და ჭირნახულის მოწევას იწყებს. წლეულს კი ხშირმა წვიმამ დიდად შეუშალა ხელი სოფლის მშრომელებს სამეურნეო საქმიანობაში. მაგრამ სვანი კაცი ცხოვრების მკაცრ პირობებს ოდითგან შეგუებულია და ბუნების ჭირვეულობას არც ახლა შეეპუება.

წლევანდელი ჭირვეული ამინდების მიუხედავად, ლენტეხის მშრომელებმა თავდაუზოგავად იშრომეს და საზაფხულო სამუშაოები დროულად და გადაჭარბებით შეასრულეს.

რაიონის მშრომელთა საქმიანობას სათავეში უდგას პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი გურამ გუნავა. იგი დიდ გულისხმიერებასა და მზრუნველობას იჩენს რაიონის მშრომელთა მიმართ. რაიონში არავინ და არაფერია მისი ყურადღების გარეშე დარჩენილი. იგი აქაური ადამიანების ყველა ჭირისა და ლხინის თანაზიარი და მონაწილეა. ამის შემდეგ, გასაკვირი არაა, რომ რაიონის მშრომელებს, დიდსა და პატარას, ერთნაირად უყვართ და ეამაყებათ რაიონის ხელმძღვანელი.

როცა საუბარი გვიხდებოდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ყოველი მათგანი დიდი სიყვარულით, მადლიერებით ლაპარაკობდა გურამ გუნავაზე. რაიონში ყოფნის დროს თბილი სიტყვა მოვისმინეთ რაიკომის პირველ მდივანზე. გვიკვირდა, როდის მოასწრო, ან როგორ შეძლო ერთმა კაცმა ასეთი დიდი პატივისცემის დამსახურება; თუმცა, უნდა დავძინოთ: ხალხის გვერდში მდგომი მართალი ვაჟკაცები ყოველთვის იმსახურებენ სიყვარულს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ვაჟკაცია გურამ გუნავა.

რამდენიმე დღე გადაბმით წვიმდა. მოშხუოდნენ გადარეული მდინარეები: ცხენისწყალი, ლასკადურა და ხელედურა. ლენტეხის შემოსასვლელთან აწყდებოდნენ ერთმანეთს. ამ დროს, ლაშხეთისა და ჩოლურის მისადგომებთან, სასოს ხიდის ტერიტორიაზე, ცხენისწყალმა დაანგრია ხიდის ჯებირები, ასავლელი ხიდიც წაიღო და გზა მოშალა. ზოგიერთი გამოლმელი მშრომელი გაღმა დარჩა და გაღმელი — გამოღმა. რაიონში სასწრაფო ღონისძიებები განხორციელდა ხიდის აღსადგენად. მშრომელები, პარტიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, დღედაღამ ფეხზე იდგნენ და აბობოქრებულ მდინარეს შეუპოვრად ებრძოდნენ. ამ მეტად რთულ და მძიმე საქმეს ხელმძღვანელობდა ლენტეხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დავით ტვილდიანი. ეს მოძრავი, ტკბილმოუბარი და საქმიანი ვაჟკაცი რეზინის ჩექმებით დაფუსფუსებდა და თვითონ აძლევდა ხიდის მშენებლებს გამძლეობისა და შეუპოვარი შრომის მაგალითს. ასეთი ერთსულოვანი შრომის შედეგი, ცხადია, არ დააყოვნებს!

აქ ბევრი რამ კეთდება მშრომელთა საკეთილდღეოდ. იღვწიან განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის კერები. ლენტეხს აქვს ერთი სარაიონო და ხუთი სასოფლო კულტურის სახლი, თვრამეტი კლუბი, ოცდახუთი ბიბლიოთეკა. ისინი დღენიადაგ გულმოდგინედ ემსახურებიან მშრომელების კულტურული დასვენებისა და გართობის საქმეს.

**ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სარაიონო ბიბლიოთეკა დიდ სივიწროვეს განიცდის ფართობის მხრივ. საჭიროა დროულად ჩატარდეს შენობის რეკონსტრუქცია. ისიც უნდა ითქვას: ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკა მოთავსებულია დაქირავებულ ბინებში (მაგალითად, სოფელ ლეუშერში, ფანაგაში...). ყველაზე გულდასაწყვეტია ის, რომ რაიონის ბიბლიოთეკებს თბილისის ბიბლიოკოლექტორიდან აკლებენ სხვადასხვა სახის ლიტერატურას. როგორც გვითხრეს, ამანათებში სიით დასახელებული წიგნების ეგზემპლარები ხშირად ან აკლია, ან საერთოდ არაა.**

**ძალზე ძნელ პირობებში უხდება მუშაობა რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოს. შენობაში, რომელიც თავდაპირველად 35 საწოლზე ყოფილა გათვალისწინებული, დღეს ფაქტიურად 75 ავადმყოფის მოთავსება უხდებათ.**

საავადმყოფოში მუშაობს ხუთი განყოფილება: თერაპიული, ქირურგიული, ბავშვთა, სამშობიარო-გინეკოლოგიური და ინფექციური, რომლებსაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ემსახურებიან. ამავე შენობაშია მოთავსებული რენტგენოლოგიური, ფიზიო-თერაპიული და სტატისტიკური კაბინეტები. სწორედ ამას ჰქვია წელზე ფეხის დადგმა, მაგრამ როცა სხვა გზა არაა, რა უნდა ქნან. მართალია, გადაწყვეტილია ახალი საავადმყოფოს აშენება. შედგენილია პროექტი, ხარჯთაღრიცხვა. მომზადებულია ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ მშენებელი ორგანიზაცია, რომელიც ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეს იკისრებს, დღემდე არ ჩანს!

ასეთი რთული სამუშაო პირობების მიუხედავად, ავადმყოფთა მკურნალობის საქმე საკმაოდ მაღალ დონეზეა დაყენებული, რაც თავისთავად მეტყველებს საავადმყოფოს მედპერსონალის და, ცხადია, პირველ რიგში მთავარი ექიმის ბორის ხაბულიანის დამსახურებაზე. ამას გარდა, რაიონში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამი საუბნო საავადმყოფო, ოთხი საექიმო ამბულატორია, ოცდასამი საფერშლო-საბებიო პუნქტი და ორი ჯანპუნქტი.

რაიონის ცენტრში შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. ლენტეხის შესასვლელთან აშენებულია სვანური კოშკი, სადაც მალე ბინას დაიდებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ჩვენი იქ ყოფნის დროს, დასასრულს უახლოვდებოდა სკოლის კაპიტალური რემონტი და ახალი კორპუსის მიშენება, დაწყებული იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და სხვა.


ალუდა არაგული,
რევაზ დანელია,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ვისაუბრეთ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგესთან სოსო ლიპარტელიანთან სვანეთის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, სამეურნეო მიღწევებსა და სიძნელეებზე, მუშაობის რთულ პირობებზე, სვანეთის წარსულსა და აწმყოზე...

სოსო ლიპარტელიანი ახალგაზრდა კაცია, განათლებული და ენატკბილი მოსაუბრე, თავის კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული. სოსო ლიპარტელიანი საქმით ამჟღავნებს ამ სიყვარულს. იგი უნივერსიტეტის ასპირანტი იყო, მაგრამ ყველაფერს დაანება თავი, დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს, ერთგულად ემსახურება ხალხის საქმეს, მისი სატკივარი სტკივა და მისი სიხარული ახარებს.

— როდის გადაწყვიტეთ, მეცნიერებისათვის დაგენებებიათ თავი? — ვკითხეთ.

— ცხოვრება თვითონაა უდიდესი მეცნიერი — გაიღიმა სოსომ, — მე მისთვის კი არ დამინებებია თავი, უბრალოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროფილი შევიცვალე. ცხოვრება საინტერესოა, სამუშაო თავზე საყრელი; რას გააკეთებ და არ გააკეთებ, ყველაფერი ხელისგულივით ჩანს. ხალხი მოგჩერებია. საკუთარი სინდისი გაიძულებს, არ შეარცხვინო ქვეყანა. პატიოსნად და ერთგულად ემსახურო მოვალეობას, საქმეს, ხალხს, შენი წინაპრების ნამემკვიდრალს. სვანი კაცისთვის ხომ ერთადერთი სიმდიდრე არსებობს ამქვეყნად — სინდის-ნამუსი და შეუბღალავი სახელი. იგი იყო მისთვის უძვირფასესი საუნჯე და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას. ჩვენც სწორედ ისე უნდა დავაყენოთ დღეს საქმე, რომ ეს სახელი და ღირსება არაფრით შევლახოთ. მითუმეტეს ახლა, როცა სასიკეთოდ ყველა საშუალება და პირობა გვაქვს შექმნილი.

სოსო დაწვრილებით გვაცნობს ქვემო სვანეთის ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს. გვიამბობს მათ საინტერესო ისტორიას. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება შუა საუკუნეების ციხე-კოშკების, ვაჟკაცობისა და მახვშების სვანეთი, მისი ზვიადი სილამაზე, ცადაწვდილი, ღრუბელჩაჩქანიანი მთები, ვერცხლისფერი ჩანჩქერები, ლომებივით აღრიალებული მდინარეები, ჭიუხების წვერწამახული ქიმები, მზისფერთმიანი მშვენიერი დალის მიუკარებელი საუფლო, გივარგილის, თამბისა და ბეთქილის საარაკო ამბები...

ვნახეთ სოფლებში: ლეუშერში, ბულეშსა და თეკალში საუცხოოდ ნაგები ციხე-კოშკები; თეკალის, გულიდის, ტვიბის მთავარანგელოზის, ჩუკულის მთავარანგელოზის, მახაშის წმინდა კვირიკესა და მარგვიშის ეკლესიები.

**აქვე უნდა აღინიშნოს, სოფელ ლეუშერში გარდაფხაძეების ციხე-კოშკი სავალალო მდგომარეობაშია და დროულად მოითხოვს ყურადღების მიქცევას!**

* * *

როგორც იქნა გამოიდარა. მზემ გამოანათა ულრუბლო ციდან. გამოჩნდნენ ალპური ფერდობები, ცის სილურჯეში შეყუდებული მთების თხემები, ხეობებში მი-

# ზვიადი მთების და კოშკების მხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა





მოფანტული სოფლები, ყახები, სათიბები...

მივყვებით ცხენისწყლის ხეობას ლაშხეთისკენ. გზადაგზა გვხვდებიან თივით დატვირთული მანქანები, მთიბავები, რომელთაც შუბლზე ოფლის წვეთები ჯერაც არ შეშრობიათ. სოფელ ჭველიერში, წყაროსთან, რამდენიმე ახალგაზრდა მთიბავს შევხვდით. ისინი ყელს იგრილებდნენ წყაროს კამკამა წყლით. მათ შორის აღმოჩნდნენ მეურნეობის საუკეთესო მთიბავები — ზურაბ ჯინჭარაძე და ნუგზარ მუკბანიანი. ისინი სრულიად ახალგაზრდები არიან. ლაპარაკის დროს ცოტას კიდეც მორცხვობენ. ზურაბი ამბობს — ნუგზარი მჯობიაო თიბვაში, ნუგზარი კი — პირიქით. ისე კი, როგორც გავიგეთ, თურმე ერთმანეთს ტოლს არ უდებენ.

— კი მაგრამ, ბოლობოლო როგორ გავიგოთ, რომელი ჯობიხართ? — ხუმრობით ვკითხეთ ზურაბს.

— ნუგზარს კითხეთო, — გვიპასუხა მან.

ვკითხეთ ნუგზარს: — ზურაბს კითხეთო.

დავინტერესდით, როგორი იყო მათი შრომითი ანაზღაურება. აღმოჩნდა, რომ მთიბავი ერთ ტონა თივის დამზადებაში იღებს ოცდაათ მანეთს, რაც, ჩვენი აზრით. მშრომელთა მატერიალური დაინტერესების მხრივ, ძალიან ცოტაა.

**ამას გარდა, დამაფიქრებელია ის ამბავიც, რომ სოფელ ჭველიერში კლუბი, მაღაზია და პურის საცხობი არა აქვთ, რის გამოც სოფლის მოსახლეობა გაჭირვებას განიცდის, განსაკუთრებით აქაური მკაცრი ზამთრის პერიოდში.**

ჭველიერს გარდა, ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში გაერთიანებულია თერთმეტი სოფელი: საყდარი, დურაში, შტვილი, ბულეში, მუწდი, ტვიბი, მამი, თეკალი, ლეუშერი, ფანაგა და ჭველფი.

მეურნეობის მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ რაიონის სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. მეურნეობას ჰყავს მრავალი მოწინავე მშრომელი. თუნდაც: თედო ხაბულიანი, რაფიელ ბენდელიანი, პიმენ ხაბულიანი, ბეგლარ შავრეშიანი, ბუთულა ხაბულიანი..

* * *

რაიონში ყველა ღონისძიება ხორციელდება იმისთვის, რომ მშრომელი კაცი უკეთ ცხოვრობდეს. ამისთვის იყენებენ მატერიალური დაინტერესების პრინციპს, მადლობებს და ჯილდოებს მოწინავეთათვის, ლიმიტებს უმაღლეს სასწავლებლებში მოსაწყობად და სხვა.

ყველაფერი ეს ადამიანს უბიძგებს ნაყოფიერი და დაუღალავი შრომისკენ, ქმნის ჯანსაღ კლიმატს წარმატებების მიღწევისთვის, საშუალებას იძლევა მიგრაციის შესაჩერებლად.

ამავე საქმეს ემსახურება სამრეწველო საწარმოთა ფილიალების გახსნა, რომლებშიც შრომობს ასობით ადამიანი. ასეთი საწარმოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის სამრეწველო-საწარმოო გაერთიანების ფილიალი — ლენტეხის სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც წელიწადში უშვებს ერთი მილიონ ორასი ათასი მანეთის მზა პროდუქციას. ფაბრიკაში მუშაობს ასზე მეტი მუშა. ფაბრიკა რაიონში არსებულ საწარმოთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა. აქ ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება დასახული გეგმა-ვალდებულებები. ჰყავთ მრავალი წარჩინებული მკერავი. მათ შორის: ლეილა ქურასპედიანი, ნუნუ ტვილდიანი, ივეტა ნემსაძე, დალი მუსელიანი, მექანიკოსი როსტომ ჩარქსელიანი...

ფაბრიკის დირექტორი სოზარ გარდაფხაძე წარმოსადეგი ვაჟკაცია. იგი, როგორც გვითხრეს, კარგი ორგანიზატორი და ხელმძღვანელია, საკუთარ თავზე ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენ.

— ხელმძღვანელი, თუ კოლექტივი მხარში არ უდგას, იმ წყალში ჩავარდნილ კაცს ჰგავს, რომელმაც ცურვა არ იცის და არც მაშველი ჩანს, — გვითხრა სოზარმა. — ჩვენი ფაბრიკა თუ რაიმე წარმატებებს აღწევს, ეს თვითონ მუშების, მათი ყაირათიანი და გულმოდგინე შრომის შედეგია. ჩვენი, ხელმძღვანელების (აქ მე მარტო როდი ვარ, გვყავს მთავარი ინჟინერი, ეკონომისტი და სხვა), მოვალეობა კი ისაა, რომ სწორად წარვმართოთ შრომის ორგანიზაცია, გულისხმიერად მოვეკიდოთ მუშების ცხოვრებას, მათ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობას. მუშა უნდა გრძნობდეს, რომ მხარში უდგანან, იზიარებენ მის ჭირსა და ლხინს. ეს ყველაფერი როცა ასეა, მაშინ საქმის წინსვლასაც არაფერი უშლის.

საყოველთაოდ ცნობილი ამბავია: ხელმძღვანელზე ბევრი რამაა დამოკიდებული საწარმოო საქმიანობაში.

როცა ფაბრიკის მიღწევებს ვეცნობოდით, ცხადად ვგრძნობდით, რომ საერთო წარმატება უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგი იყო.

* * *

დიდება სვანეთის ღმერთებს,
ნათელი ადგას თქვენს საბრძანებელს!
დიდება შენდა, ნადირთ მფარველო,
საჯიხვეებში — ჯიხვი გყავს მრავალი,
საშურთხეებში — შურთხის ქარავანი.
დიდება შენ, დალ ბედნიერო!

გვახსენდება „გივერგილ“ — სვანური მითოლოგიური ეპოსი — ლიტერატურულად დამუშავებული და გამოცემული ვახტანგ ონიანის მიერ...

მოვემგზავრებით სვანეთიდან და თან მოგვყვება ენით აუწერელი შთაბეჭდილებები, ზვიადი მთებისა და კოშკების წარუშლელი სილამაზე, სვანების გულღიაობა და საარაკო სტუმართმოყვარეობა. ახლა მზე ანათებს ცხენისწყლის პირქუშ ხეობაში. მოშხუის — წვიმების შემდეგ — ოდნავ მძვინვარებადამცხრალი და დაშოშმინებული მდინარე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ყუგუსიძე



## წინ, წინ, მეგობარო!

ცხოვრება სტარტია, ცხოვრება სტარტია,
ცხოვრება სტარტია, დადექი სტარტზე,
არ დაეძაბუნო ჭირსა და სატკივარს,
მზერა არ მოწყვიტო იმედით სამზერს!

წინ, წინ, მეგობარო! შეტევა! შეტევა!
შეტევა ნაცადი ხერხია დაცვის,
თუ გასახარჯია, თუ გაიმეტება —
სიცოცხლეს ბრძოლაში გახარჯავს კაცი;

მხოლოდ იქ დაღვრილი სისხლი გაამართლებს
სისხლის არსებობას და სისხლის დენას,
დადექი სტარტზე და თავიდან აანთე,
დღემდე რაც ჩაგიქრა, სანთელი ყველა!

ჟამი მკურნალია, გვავიწყებს ნატყვიარს,
იმედით შეფოთლავს შიმელას ნატვრის,
ცხოვრება სტარტია, ცხოვრება სტარტია,
ცხოვრება სტარტია, აიღე სტარტი!

## მიყვარხარ...

**უძლევ უძილობით, გრძნობის უძირობით**
**და სიტყვაძვირობით, ცრემლთა დადენამდე**
**მიყვარხარ... და უტყვი ჩემი სიყვარული,**
**ვით ტყვია უსროლი, ვერ აღწევს შენამდე.**

**ჯაჭვის პერანგივით მიცავს სიმყუდროვე,**
**მიცავს არყოფნისთვის, ბინდში მობინადრეს...**
**და ვკვდები უდროოდ... და ვკვდები უდროოდ...**
**და ვკვდები უდროოდ... ვკვდები სიკვდილამდე.**

**ვაი, რომ შენც კვდები... შენც კვდები ასევე,**
**შენც კვდები, დაუმცხრალ ვნებით ავსებული,**
**რადგანაც ჩემს შემდეგ ველარ იარსებებს**
**ჩემი და... ჩემთვის და... ჩემით არსებული.**

## არც რა ექნებოდა

ქართველს რომ თავისთვის ეცხოვრა,
ქართველს რომ თავისთვის ეზრუნა, —
როგორც მექორწინე მედოლეს,
როგორც მექელეხე მეზურნეს;

რომ მხოლოდ თავისთვის აევსო
საძმო და სამოყვრო სასმისი—
არც რა ექნებოდა სასხვისო,
არც რა ექნებოდა თავისი.

## ნუ გაგიკვირდება

ნუ გაგიკვირდება — ყოველ ანთებაზე
ჩაგიქრეს ჭრაქი და დაგევსოს ბუხარი,
თუ არ გიხარია სხვისი სიხარულით,
თუ არ გიწუხია სხვისი საწუხარით.

ნუ გაგიკვირდება — აგვისტოს ხვატშიაც
დადუღრაღებული დაგირჩეს კერია,
თუ არ გიტირია სხვისი სატირალით,
სხვისი სამღერალით თუ არ გიმღერია.

ნუ გაგიკვირდება უკუღმა ტრიალი
ბედის, თუ ვერ ამჩნევ მოყვასის ნატყვიარს
და თუ ვერ ხვდები, რომ ღამის თანაგრძნობით,
მზესაც კი, თვით მზესაც ლაქები ატყვია.

## მაბედნიერეთ...

გაჩენის დღიდან
გულში დარდი ბარდნის და ბარდნის,
აისხა ფიქრი
მოწკრიალე ყინვის მძივებად:
„რომ შემძლებოდა
დავიწყება უწყავი დარდის —
ჩემზე ბედნიერს
ქვეყნად ვერვინ მოიძიებდა“.

განვედი, ფიქრო,
ღალატია ფიქრი ამგვარი,
გამაგრდი, გულო,
არ მიენდო ღალატს უნებურს,
რომ არა ჩემი დარდი —
ფიქრის გორად დამდგარი,
ვერ მონახავდით
ჩემზე მწირს და ჩემზე უბედურს.

რა ქართველი ვარ,
წინამური თუ არ მადარდებს,
სამცხეს თუ არ ვგლოვ —
რითღა ვჩემობ ამერ-იმერეთს,
მადარდეთ მარად
კრწანისო და ველო მარაბდის
და ჩემი დარდის არსებობით
მაბედნიერეთ.

## პოვნამდე დაკარგული სიტყვა

ყველაფერს აქვს თავის მიზეზი —
შედეგს რომ არაფრით არ ჰგავს:
დაკარგვით რაღაცას ვიძენთ და
შეძენით რაღაცას ვკარგავთ.

მიზიდულობაა მიზეზი
ტოტიდან ნაყოფის ვარდნის,
მაგრამ „ხილაყვარდის“ მიზეზი
რადაა „ხილაში ვარდი“, —

ამას ან რა თვალი შენიშნავს,
რა ყური შეისმენს ანდა,
ზეკაცის მოუღლელ ხმენის და
მარადი სიფხიზლის გარდა?!

რა განსჯა შეიძლებს განმარტოს,
რა გარჯა შეიძლებს გვითხრას —
რად არ თმობს პოეტი არასდროს,
პოვნამდე დაკარგულ სიტყვას?!

დაკარგვით რაღაცას ვიძენთ და
შეძენით რაღაცას ვკარგავთ...
ყველაფერს აქვს თავის მიზეზი —
შედეგს რომ არაფრით არ ჰგავს.

## მთაო, უბერებელო!

ირვვლივ შემოჯარული
გადგას ღრუბლის ამალა,
ერთ ადგილზე დგომისთვის
გამჩენისგან განწირულს,
შენ კი, ალბათ, გწადია
გაქცევა და დამალვა,
მთაო, უბერებელო,
თმაჭაღარა ყმაწვილო!

წყეულ უმოქმედობას,
ალბათ, გინდა ებრძოდე,
ალბათ, გზებიც გიხმობენ
ერთურთს გადახვეული,
ალბათ, ნატრობ ეწვიო
კარის კეთილ მეზობელს,
თბილ ბუხართან გაითბო
გათოშილი ხხეული.

ყველას თავის გზა აქვს და
ყველას — თავის მანძილი,
თოკებივით აკეცავს
სივრცეები ელიან.

ალბათ, შენი კალთიდან
აფრენილი არწივიც,
მთაო, ცამდე აწვდილო,
შენზე ბედნიერია.

ღმერთი ზოგჯერ იმედად
მეწყერს გამოგიგზავნის,
რომ შეირხეს უძრავი
შენი ბჭე და თავანი,
რადგან მოძრაობაა
უმაღლესი მიზანი,
რადგან მოქმედებაა
ყველაფერზე მთავარი.

მთელი ზამთარ-ზაფხული
გახლავს ღრუბლის ამალა,
დღენიადაგ დგომისთვის
გამჩენისგან განწირულს,
შენ კი, ალბათ, გწადია
გაქცევა და დამალვა,
მებრალები ზვიადო,
თმაჭაღარა ყმაწვილო!



# სახელოვნად გავლილი გზა

ერემია ქარელიშვილი.

არიან ადამიანები, რომლებიც ფუტკარივით შრომობენ, ქმნიან, აგურს აგურზე ადებენ, წმიდა ტაძრის კედლები ამოჰყავთ, ხალხის სიკეთეს თავდადებით ემსახურებიან, ნაყოფიერებით არავის ჩამორჩებიან, ადამიანის დამამშვენებელი მოკრძალებულობის გამო კი ერთგვარად ჩრდილში დვანან... მაგრამ ეს მირაჟი მყარი არ არის, თანდათან იფანტება. თვითნაბადი ნიჭი ყველაფრისაგან დამოკიდებულად იკვლევს გზას ხალხის გულისაკენ და გულწრფელ სიყვარულს იხვეჭს. თავიდათავი ასეთი სიყვარულია!

გამოჩენილ მწერალს ელიზბარ ზედგინიძეს ასეთი სიყვარული არ აკლია, მკითხველთა ფართო მასაში დიდი ხანია აღიარება მოიპოვა. დღეს ვერც ერთ ბიბლიოთეკაში ვერ შეხვდებით მის თუნდაც ერთ წიგნს, რომელსაც უხმარი ფურცელი შერჩენოდეს.

ელიზბარ ზედგინიძის სამწერლო მოღვაწეობის გაზაფხული ძალიან ადრე დაიწყო, ახალ განთიადს ამოჰყვა და მაშინვე ცხოვრების შუაგულში მოექცა. ოცი წელიც არ შესრულებოდა სიტყვის საიდუმლოებას რომ მიაგნო და კომკავშირული პრესის ფურცლებზე პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნა. ამის მერე კალამი აღარ შეუსვენებია.

ელიზბარ ზედგინიძე დაიბადა და იზრდებოდა იმდროინდელი თბილისის გულში — სოლოლაკისა და მთაწმინდის მიდამოებში, სადაც ჯერ ისევ ცოცხლობდა ძველი თბილისი, თავისი ეგზოტიკური ადათ-ჩვევებით. ეს უბანი იმითაც განირჩეოდა, რომ აქ ბინადრობდა მრავალი ქართველი მოღვაწე, — ცნობილი მწიგნობარი, მწერალი თუ ხელოვანი, რომელთაც პატარა ელიზბარი ხშირად ხვდებოდა. სწორედ მათ გაუღვიძეს პირველი ნაპერწკალი შემოქმედებითი შთაგონებისა და ადამიანის მოქალაქეობრივი დანიშნულებისა. მარტო ის რად ღირს, რომ მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი პედაგოგები — ლუარსაბ და ნინო ბოცვაძეები, ნიკო ლომოურის შვილი — თამარ ლომოური, ქართული ეროვნული მუსიკის დედაბოძი ზაქარია ფალიაშვილი და სხვანი, მათი მთელი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ სამშობლოსათვის განათლებული, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები აღეზარდათ. სამოღვაწეოდ გონებაგახსნილი ახალგაზრდა სტუდენტობის დროს ეწაფება ცოდნას, გულმოდგინედ სწავლობს ჰუმანიტარულ საგნებს, გატაცებით ისმენს გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს, ესწრება ლიტერატურულ დისპუტებს და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში... ცოდნითა და ცხოვრების ცოცხალი შთაბეჭდილებებით აღჭურვილმა 23 წლის ახალგაზრდამ გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობა „ვერცხლის ქამარი“. რომელშიც იშვიათი უშუალობით გადმოგვცა ძველი თბილისის კოლორიტული სურათები თავისი დამახასიათებელი ადამიანებით. ამას მალე მოჰყვა მთელი სერია თბილისური მოთხრობებისა, რომელთაც მკითხველის ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს. ეს იყო დამწყები მწერლის ნიჭის სერიოზული აღიარება იმიტომაც, რომ ისინი გამოაქვეყნა არა ახალგაზრდობის ბეჭდვითმა ორგანომ, არამედ მწერალთა სქელტანიანმა ავტორიტეტულმა ჟურნალმა, გამოჩენილ ავტორთა ნაწარმოებების გვერდით. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს წინ დევს „მნათობის“ 1926 წლის მე-11 ნომერი, რომელშიც ერთმანეთის მიყოლებით არის მოთავსებული მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მესამე“ და ელიზბარ ზედგინიძის „ვერცხლის ქამარი“.

ეს არ გახლავთ დამწყები ავტორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმნიშვნელო მოვლენა, რომელსაც შეიძლება გულგრილად გვერდი ავუაროთ, მითუმეტეს, რომ მისი ეს და მომდევნო მოთხრობები ჟურნალ „მნათობში“ მიხეილის რეკომენდაციით დაიბეჭდა. დიდი მწერალი აქ ახალგაზრდის ნამდვილ მეგზურად გვევლინება. მას უყვარდა ახალგაზრდები, მაგრამ, იმავე დროს, მომთხოვნი და უშეღავათოც გახლდათ. ილლად არავის შეაქებდა, იმას კი, ვისაც ჭეშმარიტი ნიჭის ნაპერწკალს შეამჩნევდა, ყოველნაირად ხელს შეუწყობდა, წააქეზებდა და დაეხმარებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილს ელიზბარის პირველი ნაბიჯებიც მოსწონდა. არაერთხელ გამოუთქვამს მას თავისი სასიამოვნო მოსაზრებები, წაუხალისებია და გულისხმიერ შენიშვნებსაც არ მორიდებია.

პირველ მოთხრობებშივე ნათლად გამოჩნდა, რომ ახალგაზრდა მწერლის მხატვრული ფანტაზიის წყარო ცოცხალი სინამდვილე იყო. უშუალო შთაბეჭდილებებით საზრდოობდა და თამამად ეტანებოდა თავისთავად ფერებსა და სახეებს. „ვერცხლის ქამარში“ და თბილისის თემაზე დაწერილ მომდევნო მოთხრობებში („ოქროს თუმნიანი“, „ლურჯი სუფრა“, „ჩვენი ქუჩა“ და სხვ.) მწერალმა გააცოცხლა ყრმობის შთაბეჭდილებები, დაგვიხატა ძველი ქალაქის პრიმიტიული ცხოვრება თავისი ლაღი და პატიოსანი, დარბაისელი და თამამი ადამიანებით, რომლებსაც უყვართ თავიანთი ქალაქი, უყვართ ერთმანეთი, პატივს სცემენ სიმართლეს და სძულთ სიცრუე და თაღლითობა. იგი ჰუმანისტის თვალით ხედავს და სწონის ავსა და კარგს, მხარს უჭერს და თანაუგრძნობს ძველი თბილისური ყოფის ჭეშმარიტად ხალხურ ტრადიციებს, გმობს უარყოფითს, ადამიანთა ყოფაში ფეხმოკიდებულ ზნეობრივ მანკიერებებს.

პირველი ვრცელი რომანი საკოლმეურნეო თემაზე („ილვიძებენ მთები“, 1934 წ.) სიჭაბუკის წლებში, ოცდაათი წლისამ დაწერა. მისი მოთხრობების ავტორისათვის იოლი როდი იყო ამ თემაზე მუშაობა. ახალი სოფელი მისთვის თითქმის არქეოლოგიური აღმოჩენა შეიქნა. ძველი სოფლის ემპირიული ცოდნა საკმარის მასალას როდი იძლეოდა რომანის დასაწერად საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟის სოფელზე, რომელიც დუღდა და ახალი სიცოცხლის კალაპოტს ის-ის იყო კვალავდა. მითუმეტეს რომ, ეს თემა საბჭოთა ლიტერატურისათვის მკვიდრ, ტრადიციულ თემად ჯერ კიდევ არ ქცეულიყო. სიახლენი, განსაკუთრებით ადამიანთა ფსიქიკაში, კვლავ ყვავილობის ხანაში გახლდათ, ახალ-ახალი ხიძნელეები ჩნდებოდა, ძველსაც მთლიანად ყავლი არ გასვლოდა. საჭირო იყო სინამდვილესთან ახლოს მისვლა, მისი უშუალო დაკვირვებით შესწავლა. ახალგაზრდა მწერალი სირთულემ ვერ შეაკრთო, წავიდა სოფელში, პრაქტიკულად ჩაერთო იქაურ, მღელვარე ცხოვრებაში, ჩასწვდა სიახლეთა პროგრესულ ხასიათს, პოტენციალურ პერსპექტივებს და შთამბეჭდავად დაგვიხატა განახლების გზაზე შემდგარი სოფლის მართალი სურათები, მისი შემოქმედი ადამიანების ცოცხალი სახეები.

ელიზბარ ზედგინიძის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი ხალხის უახლოესი რევოლუციური წარსულის ამსახველ რომანს — „მზის ამოსვლამდე“. რომანს საფუძვლად უდევს კონკრეტული ისტორიული ამბავი — ლეჩხუმის მშრომელთა მძიმე ხვედრი და მათი თავდადებული ბრძოლა მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განუყოფელი ნაწილი იყო მთელი საქართველოს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მწერალი მშვენივრად ჩასწვდა აჯანყების ხასიათს და კონკრეტული მოვლენის განზოგადოებული მხატვრული სურათი შექმნა, გვაგრძნობინა დროის დაძაბული სუნთქვა და სამშობლოს სიკეთისათვის თავდადებულ გმირთა მიმზიდველი სახეები დაგვიხატა, გვიჩვენა მათი გაუტეხელი ნებისყოფა და ზნეობრივი კეთილშობილება. ნაწარმოების რეალისტურ სიმკვეთრეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ ავტორი კარგად იცნობდა იმ დროის ხელისუფალთა თვალთმაქცურ ბუნებას, რაც ცოტა უფრო ადრე მშვენივრად გამოხატა მწარე ირონიით აღსავსე მახვილ სატირულ მოთხრობაში — „ჰიმნი“. ამ მცირე ფორმის მოთხრობაში ნიღაბს ხდის ამიერკავკასიაში დროებით გაბატონებულ რეაქციულ ძალებს, წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებიც ხალხს პირში ერთგულებას ეფიცებოდნენ, ზურგსუკან კი ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებთან მათი ინტერესების საწინააღმდეგო გარიგებებს სდებდნენ.

მწერალი სინამდვილეს არსად ღალატობს, არაფერს აჭარბებს, ოსტატურად იყენებს სატირულ საღებავებს და მხატვრულად დამაჯერებელ მკვეთრ მამხილებლურ სურათს ქმნის. მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების ენათგაკრეფილი დიპლომატები მენშევიკური მთავრობის სასახლეში გულუხვ ბანკეტზე მიწვეულ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა წარმომადგენლებს ფეხქვეშ ეგებიან, მათი გულის მოსაგებად ტყავიდან ძვრებიან, რას არ სთავაზობენ — არ იშურებენ არც ტყეს, არც ქვანახშირსა და მარგანეცს, არც ნავთსა და არც ამერიკელი სომხების ოქროს(!), ოღონდ მათი მთავრობები იცნონ, „სტუმრებს“ თავი „თავაზიანად“ უჭირავთ, მასპინძლების ჯიუტ ვედრებაზე პირდაპირ პასუხს ერიდებიან, თავს ოდნავ, გაუგებრად აკანტურებენ და სახეზე შეკავებული ცინიკური ღიმილი უთამაშებთ. მხოლოდ მეორე დღეს სახიერად გამოხატავენ, თუ რა ფასს სდებენ ისინი მათი მთავრობების ცნობას, როცა რუსთაველის გამზირზე ოტელ „მაჟესტიკის“ (ახლანდელი სასტუმრო „თბილისი“) ფანჯრებში ინგლისელი და ფრანგი ჯარისკაცნი თავიანთი ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით ამორეცხილ საცვლებს გადმოჰფენენ.

ელიზბარ ზედგინიძის ექვსი ათეული წლის დაუღალავ შემოქმედებით მოღვაწეობასა და მხატვრულ ოსტატობაზე რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე მოთხრობები გენიალურ რუს და ქართველ პოეტებზე — ალექსანდრე პუშკინსა და დავით გურამიშვილზე, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველაზე. თითოეული მათგანი პოეტური შთაგონებითაა აღბეჭდილი და მკითხველის სულში წარუშლელ კვალს სტოვებს. „შორეული ცის ქვეშ" გენიალური რუსი პოეტის საქართველოში ყოფნის ამბავზეა აგებული და დროის კულტურული და საზოგადოებრივი ყოფის ფართო პანორამას გვიშლის. პუშკინისა და ქართველი ინტელიგენციის ურთიერთობის სურათებში შეიგრძნობა თბილისის იმდროინდელი კულტურული ატმოსფერო და რუსი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილთა გულწრფელი მეგობრობა, მათი იდეურ-მორალური თანაზიარობა, რამაც ყველაზე მძლავრად ჩვენს დროში გაიდგა ფესვები.

ელიზბარ ზედგინიძის მიერ ისტორიულ წარსულზე დაწერილ ნაწარმოებთა დიდი ღირსება ისაა, რომ აქტიურად ეხმაურებიან დღევანდელ დღესაც — საბჭოთა ადამიანის ჰუმანურ იდეალებსა და ზნეობრივ მრწამსს. ქართველ პოეტებზე დაწერილი მოთხრობები იშვიათი დახვეწილობით გამოირჩევიან. ისინი ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და ერთი ამოსუნთქვითვე იკითხება. მათში ორგანულად შერწყმული ცრემლი და სიხარული ამაღელვებელ ემოციებს აღძრავს. მხატვრული სრულყოფილობით გამოირჩევა აგრეთვე რიგი მოთხრობებისა წიგნებიდან „ჩემი თვალისჩინი", „სიცოცხლე ბრძოლაა", „ლეგენდები სიყვარულსა და გმირობაზე". მწერალი კარგად გრძნობს მოვლენებისა და ხასიათების კოლორიტს.

როდესაც ელიზბარ ზედგინიძის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით მის მხატვრულ ნარკვევებს, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა პრესის ფურცლებზე და იშვიათი ოპერატიულობით ეხმაურებოდა აქტუალურ საზოგადოებრივ მოვლენებს, ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას. მწერლის ეს მაღალი მოქალაქეობრიობა, მისი მოუსვენარი ინტერესი ხალხის ბედისადმი, კიდევ უფრო მკაფიოდ დიდი სამამულო ომის წლებში გამოვლინდა. ოფიცრის სამხრეებით დამშვენებული სამხედრო კორესპონდენტი მოქმედი არმიის ნაწილებში იყო, მამაც ჯარისკაცთა მხარდამხარ, და საბჭოთა მეომრების ვაჟკაცური შემართებისა და რაინდული სულის სილამაზეს აცნობდა მკითხველს.

ელიზბარ ზედგინიძის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მის ბოლოდროინდელ (1960-1967 წლები) რომანს „გაზაფხული ადრე დაიწყო". ეს არის სამი ნაწილისაგან შემდგარი ფართო მხატვრული ტილო ოჯახსა და სიყვარულზე. ცხოვრების სიბრძნით დატოტვილმა მწერალმა მასში მღელვარე ადამიანური გულისცემა ჩააქსოვა და თითქოს ერთგვარად შეაჯამა კიდეც თავისი სახელოვნად გავლილი შემოქმედებითი გზა. „შეაჯამაო" — იმ თვალსაზრისით ვამბობთ, რომ ამ რომანში რელიეფურად გამოხატა საბჭოთა ადამიანების ის მაღალი ზნეობრივი კეთილშობილება, რაც ყველაზე მეტად იზიდავდა და აინტერესებდა მას მთელ მწერლურ ცხოვრებაში. რომანის მთავარი პერსონაჟები თანამედროვე თბილისელი ჭაბუკები და ქალიშვილები არიან. ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ძველთბილისური მოთხრობების პერსონაჟებისაგან. ორივე შემთხვევაში მწერალს თავისი საყვარელი გმირები ჰყავს — მოხუცნიც და ახალგაზრდებიც. არც ერთ მათგანს არ აკლებს ფერსა და თანაგრძნობას. მაგრამ ამ რომანში სულ სხვა სამყაროა, სხვა ადამიანები, სხვა ყოფითი და ზნეობრივი ატმოსფერო. უკან რომ მიიხედავთ, მაშინვე ნათლად წარმოიდგენთ იმ უზარმაზარ ნახტომს, თბილისმა სულ მოკლე დროში რომ გააკეთა. რომანი ძირითადად კარგი ადამიანებით არის „დასახლებული", მაგრამ გვერდი არსადა აქვს ავლილი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს და არც ადამიანთა პირად ნაკლოვანებებს. ავტორის მხატვრული ოსტატობა, უპირველესად, ზომიერების გრძნობაში იხატება. პირადი ცხოვრების მოწესრიგებისას თანამედროვე ახალგაზრდებიც უშვებენ შეცდომებს, მაგრამ ამ შეცდომებზე სწავლობენ და თამამად იკვლევენ სწორ გზას, თავიანთი წინაპრებისაგან ინტელექტუალურად განსხვავდებიან და დამოუკიდებლად წყვეტენ საკუთარი ბედნიერების რთულ პრობლემებს. რომანი თავიდან ბოლომდე ადამიანისა და სიკეთის სიყვარულით არის აღსავსე.

— „დაე, მარად იყოს მზე, მარად ჰყვაოდეს სიცოცხლე!" — ასეთია რომანის მთავარი მოტივი, მისი გმირების გულის ძახილი.

ასეთია თვითონ მწერალიც — კეთილი და მართალი, ბედნიერი იმის შეგნებით, რომ პატიოსნად ემსახურა თავის ხალხს, სამშობლოს, ყველაფერი, რის მიცემაც შეეძლო, უანგაროდ მისცა მათ, თავისი ალალი წვლილი შეიტანა საქვეყნო საქმეში, ქართული საბჭოთა პროზის განვითარებაში.

ჟურნალის ამ ნომრის დაბეჭდვა უნდა დაზვეწყო, როცა მივილეთ მეტად სამწუხარო ცნობა: ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პროზაიკოსი და კეთილშობილი მოქალაქე — ელიზბარ ზედგინიძე, რომელსაც თავისი გულთბილი წერილი მიუძღვნა კრიტიკოსმა ე. ქარელიშვილმა.

# მუდამ ახლის მაძიებელი

ჩვენ ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ გავიცანით შორეული ციმბირის ქალაქ ნოვოსიბირსკში, თეატრალურ მხატვართა გამოფენაზე. შემდეგ კი, უკვე როგორც მეგობრები, ჩელიაბინსკში შევხვდით, სადაც დემური ცილინგის სახელობის დრამატული თეატრის მთავარ მხატვრად მუშაობს.

დემურ დიდიშვილმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მონუმენტალისტის დიპლომი მიიღო. მან გაიარა შესანიშნავი სკოლა ისეთ ოსტატებთან, როგორებიც იყვნენ ვ. შუხაევი და ს. ქობულაძე.

და აი, მონუმენტალისტი დემურ დიდიშვილი ქალაქ მაგადანის გორკის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მხატვარი ხდება.

აქ გატარებულ წლებს დემური მადლიერებითა და სიყვარულით იგონებს. ეს თეატრი მისი შემოქმედებითი ჩამოყალიბების ნამდვილ სკოლად იქცა.

მაგადანის შემდეგ დემურ დიდიშვილი ნოვოსიბირსკის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობდა, სადაც ახალი შესაძლებლობები იპოვა თავისი მისწრაფებების გამოსავლინებლად. ისწავლა არა მარტო სახეობრივი და მეტაფორული აზროვნება, არამედ მიაგნო მაყურებელთან უშუალო კონტაქტის გზებს და ისინი სპექტაკლის თანაავტორებად აქცია.

თითქმის ორმოცი წლის წინ შეიქმნა ფილმი „ცხოვრობდა გოგონა"— ამაღელვებელი, ტრაგიკული ისტორია პატარა ნასტენკასი ბლოკირებული ლენინგრადიდან.

სწორედ ეს ისტორია დაედო საფუძვლად სპექტაკლს, რომელიც ნოვოსიბირსკის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა. დ. დიდიშვილი ამ სპექტაკლში წარმოგვიდგება, როგორც ლირიკოსი. ის არა მარტო გრძნობს პიესის ჟანრს და ახალგაზრდა მაყურებლის თავისებურებებს, არამედ თავის გადაწყვეტილებას აგებს პიესის მთავარი გმირის — ნასტენკას თვალთახედვით.

დემურ დიდიშვილი, როგორც თეატრალური მხატვარი, რა თქმა უნდა, რუსეთში ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ ჩამოყალიბების საფუძველი ისევ და ისევ საქართველოში უნდა ვეძიოთ. ამიტომაც უყვარს ასე ძლიერ იგავური და მეტაფორული ენა, ამიტომაც ასე ახლოა მისი სული იმპროვიზაციასთან.

მოულოდნელი როდია, რომ დემური ხშირად მიმართავს ქართველ ავტორთა შემოქმედებას, ქმნის სპექტაკლებს ქართულ თეატრებში.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მთვარის მოტაცება" (რეჟისორი ი. კაკულია) კოლექტივიზაციის პერიოდს ასახავს. პიესა გადაწყვეტილია ხალხურ-ეპიკური დრამის ჟანრში.

მე ვნახე მის მიერ შესრულებული კოსტუმების ესკიზები სოხუმის ქართული თეატრის სპექტაკლისათვის „1832 წელი" (რეჟისორი გ. ქავთარაძე). აქ ყველაფერი ზუსტია და ნატიფი, დაწყებული მოქმედ გმირთა სახეობრივი დახასიათებიდან, ტანსაცმლის შეკერილობის ყოველ წვრილმანამდე.

საერთოდ, სპექტაკლები სხვადასხვაგვარად იბადება ხოლმე. ხშირად ხდება ისე, რომ მის გადაწყვეტას საზღვრავს მხატვარი, მაგრამ დემურ დიდიშვილი დიდი გულისყურით ისმენს ხოლმე მოულოდნელ, საინტერესო წინადადებებს.

სხვადასხვა თეატრში ერთი და იგივე სპექტაკლებზე მუშაობისას, მხატვარი გაურბის ადრე ნაცად სიტუაციებს. მისი მუშაობის მთავარი თვისებაა: დაიწყე თავიდან, მიაღწიე უკეთესს!

ასე მოხდა, მაგალითად, სპექტაკლ „მათუშკა კურაჟის" დადგმისას, რომელიც მან ამ რამდენიმე წლის წინ გააფორმა ირკუტსკის დრამატულ თეატრში.

მალე კი ეს დადგმა იური კაკულიას რეჟისორობით განხორციელდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში.

პირველ შემთხვევაში ეს იყო არსებითად კიდევ ერთი ვარიანტი ცარიელი სივრცის სცენისა საზიდრით, რომელსაც ომის გზებზე მათუშკა კურაჟი და მისი შვილები მიათრევდნენ.

და აი, კაკულიასთან მუშაობის დროს, დემური სხვა გზით წავიდა. ახალი კონსტრუქცია ბევრად უფრო დინამიკური და მრავალფეროვანია. ქოროს კოსტუმები მშვენივრადაა შეხამებული დეკორაციის ელემენტებთან. კურაჟის სალაშქრო დუქნის საქონელი — რეკვიზიტები თუ სამხედრო ატრიბუტები, ავსებს სცენას...

დემურ დიდიშვილთან შემოქმედებითი მუშაობის დროს კარგად იგრძნობა, რომ მან ჩინებულად იცის ყოველივე ის, რაც კი დღევანდელი თეატრის მოთხოვნებს შეესაბამება. იგი მოუსვენარი, ახლის მაძიებელი შემოქმედია.

წარუმატებელი სპექტაკლი მისთვის ყოველთვის პირადი მარცხია, საბაბია საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის ამაღლებისა, თუნდაც ეს წარუმატებლობა მისი მიზეზით არ იყოს გამოწვეული.

რასულ გამზათოვს აქვს ასეთი სტრიქონები: „კავკასია რუსეთის მეფემ კი არ დაიმორჩილა, არამედ პორუჩიკმა ლერმონტოვმა". ჩვენც, ყველა, დიდი ხანია, დაგვატყვევა საქართველომ. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა პოეტებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, მუსიკოსებმა.

მარკ სმირნოვი,
თეატრალური მხატვარი.
ლენინგრადი.

„დროშის" კონკურსის გამარჯვებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელი კევლიანი

ლალი მიგრიაული

ძვირფასო რედაქცია, პირველად რომ წავიკითხე თქვენი განცხადება კონკურსის შესახებ — „ჩვენი სოფელი", მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. ვგრძნობ, გაჩუმება აღარ შემიძლია. ჩემი სოფლის სატკივარით გაწამებულმა სულმა მინდა თქვენთან გულახდილი საუბრით მცირე შვება მაინც იგრძნოს.

ძალზე ძნელია თქვენს მისამართზე წერილის დაწერაც და გამოგზავნაც, მითუმეტეს, როდესაც პირველად იღებ კალამს ხელში და პირველად აპირებ საკუთარი ფიქრების სხვისთვის გაზიარებას.

ეს მერამდენე დღე დამალამდა ფიქრებში გართულს, მერამდენედ ამობრძანდა მოკრიალებულ ცაზე ბადრი მთვარე, მერამდენედ შევასწარ თვალი ცისკრის ვარსკვლავის მიძინებას.

ყველა სიკეთე მოვიძიე ოცნებაში და თავს მოვახვიე ჩემს სოფელს — მცხეთის რაიონის სოფელ კევლიანს, მაგრამ ოცნებით ციხე-კოშკი ვის აუშენებია, რომ მე ავაშენო.

წერის სურვილმა თუ ადამიანი აიტანა, ძნელია, არ დამორჩილდე ამ ძლიერ გრძნობას. მეც ამ სურვილით ანთებული მოვივლი ჩემი სოფლის ორღობეებს, შამბნარით დანისლულ, ჩამონგრეულ სახლებს, საგარაკოდ აშენებულ კოხტა სახლებშიც შევიხედავ, მაგრამ იმედი მიცრუვდება. ვერსად ვპოულობ იმათ მსგავს ადამიანს, ვინც აბაშა ააყვავა. დიახ, აბაშაში რაღაც ისეთი მოხდა, რაც ჩემს სოფელში არასოდეს მოხდება, ალბათ.

იქნებ გამოვიგონო ვინმე ძლიერი პიროვნება, ლამაზი ეპითეტებით შევამკო, პატარა ნარკვევი დავწერო მოწინავე, ნოვატორ ადამიანზე და თქვენს მისამართზე გამოვგზავნო — „კონკურსისათვის". ამით არაფერი ეშველებოდა ჩემს სოფელს. მხოლოდ თავის მოტყუება გამომივიდოდა, ის ტკივილი კი გულზე ლოდად რომ დამჭდომბია, ტკივილად დამრჩებოდა.

დუმილი, ვხვდები, ვერ უშველის ჩემს გასაჭირს.

კალამი თქვენმა განცხადებამ ამაღებინა და გწერთ დიდ გულისტკივილზე, გაპარტახებულ წარსულზე, თითქმის უიმედო მომავალზე, ლამაზი, მიტოვებული სოფლის სატკივარზე და თუ თქვენი განცხადების ბოლო აზრს დავეყრდნობი, საკონკურსოდ მიიღება ყველა ის მასალა, რომელიც შეეხება დღევანდელი სოფლის ავ-კარგს.

თუმცა, მე რომ უნდა გაგაცნოთ, იმ სოფელს უფრო გუშინდელი ეთქმის, რადგან დღევანდელი დღის სიკეთე ჯერ არ შეხებია მას. სოფლებში სიკეთე გზას და სინათლეს შეაქვს. ჩემს სოფელში ერთიც არის და მეორეც. გზის გაყვანა აუცილებელი შეიქმნა, რადგან სოფლის მთებში ტყეკაფი გახსნეს. გზას სინათლე მოჰყვა და აქ გაიყინა სოფლის ავ-კარგზე ზრუნვა.

კევლიანს აქვს მაღაზია, რომელიც სოფელში შემორჩენილ ორ-სამ მოხუცსაც ვერ აკმაყოფილებს. ძველ, გაუქმებულ სკოლის შენობას შეხიზნული ბიბლიოთეკა გამოკეტილია. არ არის სკოლა, არ არის მასწავლებელი, აღარ არიან სოფელში ბავშვები. სარეისო ავტობუსი დღეში ერთხელ, ანდა კვირაში ერთხელ? ეს უკვე ოცნების ფარგლებსაც სცილდება. იქნებ გგონიათ, არის რაიმე დაწესებულება, სადაც შეიძლება იმუშაოს ადამიანმა. არავითარი, თუ არ გავითვალისწინებთ ძველ საცხოვრებელ შენობაში გამოკეტილ „საექიმო ამბულატორიას" და იმ ერთ ექთანს, რვა კილომეტრზე გაჭიმულ სოფელს შემორჩენილ აქა-იქ გაბნეულ სახლებში ჩაბუდრებულ მოხუცებს რომ ემსახურება.

კოლმეურნეობა! — იტყვით თქვენ, გავიდნენ და იმუშაონ კოლმეურნეობაში. დიახ, სოფელში აღარც კოლმეურნეობაა. დაიშალა. როდის ან ვისი მიზეზით, არ ვიცი. სოფელი მიმაგრებულია გალავნის საბჭოთა მეურნეობაზე და ერთ ბრიგადასაც ვერ ქმნის. მოსახლეობას არ სურს ოცი კილომეტრით დაშორებულ მეურნეობაში მუშაობა...

სოფელი კევლიანი მიმაგრებულია პატარა სოფელ ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოზე. დიახ, იმ სასოფლო საბჭოზე, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს პიონერული ქალაქი „ცისკარი". ვისაც ერთხელ მაინც უხილავს პიონერთა დასასვენებელი ეს ადგილები, დამეთანხმება, ლამაზ ადგილზეა ქალაქი გაშენებული. გთხოვთ, იმაშიც დამეთანხმოთ, რომ მისგან დაშორებით ხუთი კილომეტრის იქით მდებარეობს მასზე უკეთესი, მასზე უფრო ლამაზი სოფელი, ბუნებას რომ ადამიანის თვალის გასახარად შეუქმნია. ჩვენ კი ბუნების ნაბოძვარ სიკეთეს ვანიავებთ, აშენებულს ვანგრევთ, წინაპართა სამოსახლო მიწებს ვტოვებთ, ქალაქებს ვეხიზნებით.

მე მინდა, რომ სოფელს დაუბრუნდეს თუნდაც ძველი სახე. დაბრუნდნენ თბილისში, გლდანში, შირაქში, თამარისში „გადახვეწილი" სოფლელები, აღადგინონ ძველი კერები, შექმნან ახალი, ხალხმრავალი მძლავრი სოფელი, შექმნან არა სააგარაკო და დასასვენებელი, არამედ მუდმივი საცხოვრებელი სოფელი.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, შესაძლებელია თუ არა ეს, დააკმაყოფილებს კი დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნილებების თუნდაც მინიმუმს? გადავხედოთ სოფლის წარსულს.

სოფელში ყოფილა მძლავრი კოლმეურნეობა, რომლის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო. დღესაც შემოგხვდებათ ათობით მეტრებზე გადაჭიმული ძროხის სადგომი ფერმების ნანგრევები. სოფლის ასამოქმედებელ რეზერვებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ზაფხულში, თითქმის ხუთ თვეს სოფლის შემოგარე ველმინდვრები გალავნის საბჭოთა მეურნეობის ასობით სულ საქონელს ინახავს. სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულია თბილისის ქარხნების ფერმები. კარგად იყო განვითარებული მეხილეობა. მშვენიერი ვაშლის ბაღი იყო გაშენებული, სადაც უამრავი ჯიში ხარობდა და კარგ მოსავალსაც იძლეოდა. რატომღაც ეს ერთადერთი სიკეთეც შეშურდათ სოფლისთვის. ვიღაც „თავიანმა კაცმა" ვაშლის ბაღი მთლიანად ამოაკაფვინა. დგას დღეს გატიალებული ნაბაღევი მიწა საცოდავად, მისი შემხედავი ცრემლს ვერ შეიმაგრებ, რადგან ამ გაჭრილ, გაპარტახებულ ნაბაღევში ჩანს სოფლის დღევანდელი სახე.

თუმცა თბილისიდან სულ ოცდაათი კილომეტრით არის დაშორებული, მაგრამ ჰავა საგრძნობლად განსხვავდება ბარის ჰავისაგან. აქ ადამიანს არც გრილი, სუფთა ჰაერი მოაკლდება ზაფხულში და არც დიდი თოვლი ზამთარში.

ვფიქრობ, რომ ჰყავდეს ჩვენი სოფლის სატკივარს პატრონი, მოყვარული ადამიანი, რომელიც რაღაცას იზრუნებდა სოფლის საკეთილდღეოდ, დაბრუნდებოდა თუ არა აქედან წასული ადამიანი უკან? და ჩემს ოცნებაში მეხმაურებიან ჩემი ნაცნობები: ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ დავბრუნდებით!

ამ სოფელში დავიბადე, აქ ავიდგი ენა და ფეხი. უკვე ოცი წელია, აქ აღარ ვცხოვრობ, მაგრამ გულიდან ვერ ამოვიგდე წარსულის, ბავშვობის მოგონებები. ძნელი ყოფილა მიწის სიყვარული, ადგილის პირველი სიყვარული. და დღესაც მისგან მოშორებულს სამშობლოს სიყვარულის ეტალონად მისი სიყვარული მიმაჩნია. მე არ მახსოვს სოფლის დატოვება და თბილისში გადმოსვლა, მაგრამ ბებიასთან გატარებულმა სასკოლო არდადეგებმა და აზრმა, რომ აქ დავიბადე, აქ არის ჩემი მიწა, ჩემი წინაპრის ადგილ-მამული, ჩემი სოფელი ჩემი სულის ჭრილობად აქცია დროთა მსვლელობაში და რამდენადაც უკან მიდის სოფლის საქმე, იმდენად მემატება ტკივილები. ვიცი, ამ ჭრილობას დუმილით ვერ განვკურნავ.

მე ბავშვობის მოგონებები შემომრჩა და ამ მოგონებებმა გამტანჯეს. ნუთუ თქვენ, ამ სოფლიდან წასულო ადამიანებო, ისე შეგბოჭათ ქალაქურმა ცხოვრებამ, რომ წაგიშალათ ის მოგონებები, სულს რომ ულამაზებენ ადამიანს. ეს სოფელი ხომ თქვენი წარსულია, ეს სოფელი ხომ თქვენი ბავშვობაა, თქვენი სიჭა-

მურთაზ ჩახავა

# ძუძუმტეს

გორა გორაა,
გორებს იქით სხვა გორები,
სხვა მოდარაჯე...
ა, ჰაიტ მარჯა!
ძმა ხარ,
მეც ძმა ვარ,
ქვა და რკინა, კვეს-აბედი...
ამგვარად არ ჯობს?
არა არს აზრი საამქვეყნო
დედის სუნთქვაზე უფრო მართალი,
მითხარ, თუ ვტყუი!
და თუ ასეა!
ჩვენ ერთი დედის ძუძუმტეებს,
ჩვენ გაგვიმარჯოს!
ვინ შემაძულოს შენი თავი,
აქეთ მომხედე!..
ძმა, ძმა გიცქერს თვალებში,
შენი მოკეთე!
ქროლვენ ვითარც ქროდნენ...
კვლავად იქროლებენ...
ქართა მაქროლართა ლეწეს რა მადანი...
რაიც გავატანეთ ქართა წარიტაცეს...
საით უნდა იდოს,
ახლა საითა ძევს,
ახლა საითა ძევს
თვალნი პაპათანი.
პირისპირ როცა ძმები დარჩებიან
წამი წამთა დევნით გარბის საშინელი...
განა ოთხი თვალი ერთად იცრემლება!
არა, ჩემო ძმაო!
ერთი თვალი ტირის,
ერთი გული ტირის,
ისევ ერთი სუნთქავს ძმათა სამშვინველი.
იტყვიან ხოლმე,
ქედმაღალიაო და...
არავის უნახავს მარილს დაბჯენილი მუხლი შენი,
არვინ შედგომია რკინის იმ შენს უღელს,
რომლის აპეურმა მხრები ჩაგილეწა;
ვაი, ცოდვა ჩემი!
ღიმილს უცქერიან — ვითარც დილის ცვარი
მზეზე მოციაგეს;
ოი, სამართალო!..
ო, და საით, საით,
საით გზამრუდეო,
საით გზამრუდეო და
საით გზამართალო!
ცა იბზარება...
აქეთ, ჩემსკენ, მწუხარე ძმაო,
ეს მე ვარ, ვისაც შენი ტკივილი მტკივა,
ვინ გაფრთხობს ჩემგან,
ძმა ვარ შენი, შენი მოკეთე!
ვინ შემაძულოს შენი თავი,
აქეთ მომხედე!
და მაშინ, როცა მზე დაარიგებს
სიცოცხლის ფიჭას...
ვით გავიხარებ ხელმოცარული ძმის მაცქერალი?!
სისხლი ჭირს იქნებ ჩემი,
არ დამერიდო, ძმობას გაფიცებ!
სიყვარულისთვის დაბადებულს აღარად მიჩანს.
ჰე, ძმაო, ვინა სთქვა,
ცა მაღალი დაბალიაო...
მზე, ღრუბლები, ვარსკვლავები ზღაპარიაო.
მარტოობის ჟამს,
როს ჯავრი იგი ხანჯალივით გაგიშიშვლდება,
მე ვხედავ შენი ჭაღარა გულის ყველა
ჭრილობას,
ოი, ანკარავ!
ისიც მე მკითხე,
ვითარ ჩასხლტება სული შენი
ცის საბურველში...
მეც იქ მეძიე,
თუ მიპოვო დაყუდებული,
ჰგიე ამგვარად:
ეს ძმაა ჩემი, ძმისა გამო ეგრე მწუხარე.
ჩვენი შვილებიც ერთნაირად
უმზერენ ზეცას,
ხვალ მზე იქნება,
არ ჩაივლის სიმღერა უქმად...
მე შინ დავბრუნდე გამარჯვებული
და ჭიშკარს გაღმა შვილი შენი
შევნიშნო ვითარ, მამის ლოდინში
გათეთრებული?!
ეს, ღმერთმა ნუ ქნას!
ეს, ღმერთმა ნუ ქნას!
ილხენდეს მტერი!..
და როცა ჟამი იზეიმებს დღის გასრულებას,
მე მოგეხვევი პირველთაგანი
სხვის უწინარეს;
იმ შენს სველ თვალებს
ამოვაშრობ ძმური ამბორით,
რომ მოგილოცო ჩვენი დედის
მზის დაბადება. —
აი, ნათება!
ვინც რა უნდა თქვას,
ეს ეწყინება მხოლოდ ორგულს,
ცრუსა და ბოროტს.
და მერე ჰეი!..
ჩაესვენება სისხლის მწყურვალი
ხმალი ნაკვესი,
თვალებს დაითხრის ყველა შური —
სიმართლის მტერი...
და ვიზეიმებთ
ერთი დედის ორი ძუძუმტე,
ცად რომ ავტყორცნეთ
მზის ნათება უმხურვალესი.

ბუკეა, თქვენი პირველი სიყვარულის სავანეა. და ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ყველაფერ ამის გარეშე სიცოცხლე? ნუთუ არ მოგენატრათ გაზაფხული, თეთრად გადაპენტილი ბუნება, მიწის სურნელის ნიავზე სუნთქვა. ასეთ სურნელს ვერც ცხელი ასფალტის ოხშივარი გაგრძნობინებთ, ვერც დაკრიალებული პროსპექტები. დაბრუნდით თქვენს მამა-პაპათა ადგილებში. თქვენთვის, მხოლოდ თქვენთვის მემეტება ეს მთები, ეს ველ-მინდვრები!

არაფერი არ დაგხვდებათ აქ თანამედროვე. ყველაფერი ძველია, ყველაფერი პრიმიტიულია, ყველაფერი დაშლამდეა მისული. ეს ახალი სახლებიც, საავარაკოდ რომ აიშენეთ, ჩამოინგრევიან უადამიანოდ. ძნელია მოლოდინი, დაიღალა თქვენს მოლოდინში ყველა და ყველაფერი. იქნებ დაგავიწყდათ თქვენი ადგილები. იქნებ ქალაქური ცხოვრებით განებივრებულებს აქაური აღარაფერი მოგწონთ. არა მჯერა, რამეთუ სალი კლდე ერჩიათ თქვენს წინაპრებს სამოთხეს.

ამოდით, ნახეთ ჩვენი მამა-პაპათა სალოცავები. ეს ხავსიანი ქვით ნაშენები, საუკუნეებგამოვლილი საყდრები, ჩვენი მამა-პაპათა ისტორიაა, ჩვენი წარსულია, ჩვენი შვილების მომავალია. უვლიდნენ წმინდა ადგილებს ჩვენი წინაპრები, სოფლის ყოველი მხრიდან სალოცავებს და ეკლესიებს აგებდნენ, მის ახლო-მახლოს ხის მოჭრას, ნადირობას კრძალავდნენ და ასე შემოგვინახა წინაპრის სულმა ეს უღრანი ტყეები, ჩვენ რომ უწყალოდ ვჩეხავთ და ვანადგურებთ, ხან ტყეკაფს ვარქმევთ და ხან ათას სხვა რამეს. ეს ტყეები ჩვენ კიდევ გვეყოფა, ჩვენს შვილებსაც ეყოფათ, მაგრამ უპატრონობით გაპარტახდება და რას ვეტყვით მაშინ ჩვენს შთამომავლებს, კეთილ ცხოვრებას ვერ შეველიეთ და ჰაერში ჩამოკიდებულები დაგტოვეთო?

ასე არ ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები. ასე არც ჭრიდნენ და არც კერავდნენ. მათ საქართველოს ენა შეუნარჩუნეს, სარწმუნოება შეუნარჩუნეს და ყოველთვის ამ ბრძოლებში მთა და სოფელი იფარავდა აწიოკებულ ბარელებს.

ასე არ ფიქრობენ სოფელს შემორჩენილი მოხუცები, სიკვდილისა და თქვენს მოლოდინში კერა რომ არ გაუცივებიათ ჯერაც.

ის რაც დავწერე, დაჭრილი სულის ღაღადისია მხოლოდ. დრო მკურნალია ყველა სენისა და დრომ მინდა ჩვენი სოფლის სატკივარსაც უმკურნალოს. არის სოფლები, რომლებიც ერთი ან ორი მოსახლით ცოცხლობს. დღეს ყველა ზრუნავს, რათა ამ სოფლებმა შეინარჩუნონ სიცოცხლე. აი აქ კი, თბილისიდან სულ რაღაც 30 კილომეტრის დაშორებით არის სოფელი, რომელიც თუ შეივსო და აღსდგა, შეიძლება 100-კომლიან მძლავრ მთის სოფლად იქცეს. შეიძლება აშენდეს მეღორეობის ფერმები. სოფლის მდინარე თავის გასწვრივ ვაკე ადგილებში ხომ ასობით ფერმას დაიტევს. მუხით, წიფლით, მაყალოთი, პანტით, მსხლით მდიდარი ტყეები ზამთარშიც რამდენ საქონელს გამოკვებავს! აქ ბუნებრივი პირობები მთლიანად შეესაბამება საქონლის მოვლა-პატრონობის წესებს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სოფელში კარგად განვითარებულა მეთხეობა. თხას ხომ მთელი ზამთარი თვითონ გააქვს თავი. დღეს იშვიათად შეხვდებით თხას, მითუმეტეს აღარსად არის თხის არვე.

შეიძლება გაიხსნას ქარგვის, ქსოვის, ხეზე ჭრის, ფარდაგებისა და ხალიჩების ქსოვის კუსტარული საამქროები. ფშაველი ქალების მიერ შესრულებული ხალიჩები ხომ ოდითგანვე ცნობილი იყო მთელ საქართველოში.

დიახ, ცხოვრებისათვის საჭირო რეზერვები არის, არის და ამ რეზერვებს ამოქმედება და გამოყენება უნდა. თუ მშრომელმა ადამიანმა აქ ამოსახლება და დამკვიდრება მოიწადინა, მას არც გარჯა მოაკლდება და არც სხვა ცხოვრებისეული სიკეთე.

რატომ გიჭირთ ჩვენს მამებს, ჩვენს დედებს, ჩვენს ახალგაზრდა მშობლებს მშობლიურ ადგილებში დაბრუნება. ჩვენ, ახალგაზრდებს, მამულ-დედული გვინდა. ჩვენ სოფლის სიკეთეს, სილამაზეს, იქნებ გაჭირვებასაც, ბავშვობაში ნაზიარებ ახალგაზრდებს სოფელი გვინდა.

ეს თქვენ უნდა გაბედოთ, მამებო, ეს ჩვენც უნდა გაგვაბედინოთ. ახვიდეთ მთაში და აგვიყვანოთ ჩვენც. არა დროებით, არამედ სამუდამოდ. ავაშენოთ ახალი, ლამაზი სოფელი. ახლა უნდა წახვიდეთ, მამებო, ახლა, სანამ თქვენს შვილებს სოფლის გემო საბოლოოდ არ დაუკარგავთ, თორემ დაიზრდებიან ჩვენი შვილები და სოფლის ავ-კარგს ვეღარ გაითავისებენ.

დაე, ჩვენ ვიყოთ მომავალი გმირები ჩვენი სოფლის აღდგენისა და აყვავებისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლეო ჭედია,**

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

# ბიძაჩემი



თქვენ ბიძაჩემს, ვალურიას, არ იცნობთ?

გოლიათივით მაღალი და მხარბეჭიანია. ხმა ბოხი აქვს, როხროხა. როცა გესაუბრებათ, ასე გგონიათ, ჰექა-ქუხილიაო. მესიმინდეთა ბრიგადირი ყანაში რომ დააბიჯებს, დევიაო, ამბობენ ბალღები.

...მთვარიან ღამეს ხშირად ისმის მდინარის პირას მისი როხროხა ბანი: „ჩქიმი ჯიმა ვალურია, აიშა მუშენი ვალურია“ — „ჩემო ძმაო, ვალურია, დღემდე რატომ არა კვდები“? ზის მარტო, მთვარეს შესცქერის, მღერის და თან მუხლებზე საალერსოდ მიწოლილ ნაგაზს ელერსება.

ბიძაჩემი დურგალიც იყო, კალატოზიც, ხუროც... ისლის, ყავრის, თუ თუნუქით გადახურვა მისი საქმე იყო, საწნახელსაც თლიდა, კამეჩის ურმით ჩამოჰქონდა მორები ლაკადიდან! იმერეთიდანაც კი ამოდიოდნენ მისი გათლილი საწნახლების საყიდლად! ახლა ბუხრებსაც ხომ უნდოდა წმენდა. ჰოდა...

— ვეჩიჩინე ვატას, ვატაია, შენი ბუხარი საეჭვოდ ბოლავს-მეთქი, — მიამბო ერთხელ ბიძაჩემმა.

მართლაც, არ გაუჩნდა ცეცხლი მის ბუხარს?! არიქა, გვიშველეთო, — აკივლდა ვატა მორგოშიას ჯალაბობა. გავქანდი და ცეცხლიც ჩავაქრე. ამის შემდეგ „მეხანძრე“ შემარქვეს.

ჩვენს სოფელში, ეკლესიასთან ხშირად ბაზრობა—„ჯარალუა“ იმართებოდა. სავაჭროდ მილეთის ხალხი ჩამოდიოდა ჩვენთან. უკრავდა სასულე ორკესტრი და ზურნაც ჰყვიტინებდა ცირკის წარმოდგენის ჟამს.

ერთხელ ბიძაჩემი ჩამაცივდა, წამოდი სეირს გაჩვენებო, და ორივენი ბაზრისაკენ წავედით. საჭიდაოდ ჩამოსულიყვნენ რომელიღაც ცირკის მოჭიდავეები... გაისმა ზურნის ჰყვიტინი და ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობა დაიწყო. ერთი მოჭიდავე სულ პანტასავით ჰყრიდა ხან ერთს, ხან მეორეს... რაღაც წინასწარ დათქმულს ჰგავდა! უცებ, მოულოდნელად, წამოიმართა გოლიათივით ბიძაჩემი, ჩაახველა, და წამოიძახა: „ეჰეი, თქვენ, ჩამოსულებო! თუ ღონე გერჩით, აქეთ, ჩემკენ, გამოიხედეთ,—და თავისი მთაგორასავით მკერდი აათამაშა,—მე გიწვევთ საჭიდაოდ, აბა მობრძანდით! შეიქმნა ჩოჩქოლი. მინდოდა, რაღაც მეთქვა, მაგრამ... ბიძაჩემი გადახტა და საჭიდაო მოედანზე მთასავით აღიმართა... მართლაც, რა სანახავი იყო, ბუმბერაზი, მხარბეჭიანი!

უცებ ბიძაჩემის წინ შავი გოლიათი აღიმართა. ყველა გაირინდა. ცხარედ ეკვეთნენ ერთი-მეორეს. ორიოდე წუთის შემდეგ ბიძაჩემმა ჰაერში აიტაცა მოჭიდავე, ჰაერშივე შეათამაშა, გამოჰკრა სარმა და მიწაზე დაანარცხა. ისევ ყიჟინა, შეძახილები! ბიძაჩემმა ხალხს მდაბლად დაუკრა თავი და სწრაფი ნაბიჯით გასცილდა საჭიდაო მოედანს. მეც ავეტორღიალე, სასაფლაოსთან შეჩერდა, ჩამოჯდა, მწარედ ამოიხვნეშა და ჩურჩულით წარმოთქვა: „სადა ხარ ახლა, ჩემო საცოდავო სიდუ!“.

გაიხსენა თავისი საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და ჩემი გამზრდელი ძიძა! მეც ავტირდი.

...ცაცხვის ჩრდილქვეშ გვიყვარდა ჯდომა, გააბოლებდა ბიძაჩემი უცნაურ, ბრჭყვიალა ყალიონს და... სამახსოვროაო, — ამბობდა, — რუსმა გენერალმა მიწყალობაო!

— ეს ამბავი სათათრეთში მოხდა. ჩვენი ესკადრონი თათრების სანგრების პირისპირ იდგა.

ესკადრონის უფროსმა გაგვაფრთხილა, მალე იერიშზე გადავალთო, ყველანი თადარიგს შევუდექით. ცხენოსან ესკადრონს მღვდელმა მოკლე წირვა გადაუხადა. საცეცხლური აათამაშა, ზოგს გადარჩენა უსურვა, ზოგს კი უეჭველად სამოთხეში მოხვედრა...

გაისმა საგანგაშო საყვირების ხმა. ჩვენი ესკადრონის უფროსმა, თავადმა გიორგი მხეიძემ ბრძანება გასცა: „წინ, დევგმირებო!“ მოვახტით ჩვენს ბედაურებს და გავსწიეთ წინ... მივადექით თათრების სანგრებს — ჩემმა ცხენმა ქარივით გადამაქროლა სანგარზე და... უცებ ჩემ წინ თეთრ ზღაპრულ ცხენზე თათრის ოფიცერი წამოიმართა. იელვა ხმალმა. გონებაში გამიელვა „გათავდა დაიღუპე, ვალურია!“ — მაგრამ ჩემმა მოქნეულმა ხმალმა თათრის გოგრა-თავი შუაზე გააპო და მოკლული პოლკოვნიკი ცხენზე გადმოეკიდა. იერიში წარმატებით დამთავრდა და მეც ვეახელი ჩვენს გენერალ პროხოროვს ჩემი ნადავლით... როგორ გაეხარდა! გიორგის ჯვარი ჩამომკიდა, ჩიბუხიც მიწყალობა და თეთრი ცხენიც მაჩუქა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჩემი ოცნება ხომ ცხენი იყო!

აი, აქ დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი ფურცელი. გინახავს წმინდა გიორგის გამოსახულება ზღაპრულ ცხენზე ამხედრებული მახვილით რომ გველეშაპს ჰკლავს?! აი ისეთი ვიყავი მე ჩემს რაშზე... მას თეთრი, ბამბასავით ფაფარი და გრძელი კუდი ჰქონდა, თვალები დიდრონი, მოელვარე. რომ გაჭენდებოდა, ასე გეგონა, გასროლილ ტყვიაზე იჯექი, ძალიან შევეჩვიე, ჩემს ულუფა შაქარს ყოველთვის მას ვაძლევდი.

რევოლუცია რომ მოხდა, ჩვენი ესკადრონი თბილისისკენ გამოემგზავრა. მე კი სოფელში დავბრუნდი ჩემი ბედაურითურთ.

უნდა გენახა, რა განგაში ატყდა, სოფელში რომ გამოვჩნდი. ვიღაც უცხო კაცი საპარადო მუნდირით, გრძელი ხმლით, თავზე ცხენის ძუით შემკული ჩაფხუტით, ზღაპრულ თეთრ ცხენზე გოლიათივით გამოჭიმული, ელვასავით შემოიჭრა სოფელში.

გაოგნებული სოფლელები ჯერ თავის ჯარგვალებში დაიმალნენ, შემდეგ კი ნელა გამოყვეს თავები და გაისმა ჩოჩქოლი მიღოლენდიას განწირული ყვირილი: „ნემეცი, ნემეცი, შემოგვესია!“ შეიქმნა წივილ-კივილი, ძაღლების ყეფა, სროლა, ვიმარჯვე, ცხენი ყალყზე შევაყენე, ჩაფხუტი მოვიძვრე და ჩემებურად შევძახე: „თქვენი გამარჯვება, ძმებო!“ ეჰე, ჰე! რა ამბავი დატრიალდა! უნდა გენახათ სოფლელების სიხარული, შემომეხვივნენ, ზოგი ხმალს სინჯავდა, ზოგი ქუდს... მაგრამ ყველაზე უფრო ჩემმა ცხენმა გადარია ყველა, ცხენიც ათამაშდა, ჩემმა საალერსო სიტყვამ რომ არა, ათმა კაცმა ვერ შეაკავა. შემდეგ ძლივს დამშვიდდა და კოინდარს დაეძგერა.

ხშირად ჩავდიოდი ჩემი ცხენით მარულაზე ზუგდიდში. იქ ხომ თავს იყრიდნენ საუკეთესო ცხენოსნები. ჩემი ცხენი ხშირად იმარჯვებდა. სილამაზით ხომ ვერვინ შეედრებოდა, სიმკვირცხლით ქარიც ვერ დაეწეოდა... ბევრჯერ მასახელა მეც და ჩვენი სოფელიც.

შემდეგ კი... შემდეგ ჩემთვის ცუდი დღეები დადგა, სამწუხაროდ! ზაფხულში ჩემი ცხენი საძოვარზე სვანეთში მიმყავდა. მივქროდით ვიწრო ბილიკებზე, კლდეებში, გზას ვიკვლევდით, ან კი გზასაც [illegible] ოდნავ შესამჩნევი... უცებ მოსახვევთან ნაბდიანი მხედარი გამოჩნდა, ჩემი ცხენი დაფრთხა, განზე გახტა და ნაპრალში გადაიჩეხა, მისი განწირული ჭიხვინი დიდხანს ისმოდა, შემდეგ შეწყდა და...

რომ გადავიხედე, ჩემი გული შუაზე გაიპო...

ბიძაჩემი გაჩუმდა, თავი შეაბრუნა, არ უნდოდა, ჩემთვის ცრემლი ეჩვენებინა, ეტყობოდა, ლაპარაკი უმძიმდა. ერთი მაღიანად გააბოლა, დიდხანს ხმას აღარ იღებდა.

ზაფხულში ბიძაჩემს ვეწვიე სოფელში, უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომით მინდოდა გამეხარებინა. თვითონ არ დამხვდა. ქალაქში წასულიყო.

საღამო ხანს, სოფლის შუაგულში, მოტოციკლის გამაყრუებელი ხმა გაისმა, გავიხედე, მუზარადიანი კაცი შევნიშნე, მოტოციკლს რომ საშინელი სისწრაფით დააქროლებდა აღმართ-დაღმა... ბატები და იხვები ყაყანითა და ქოთქოთით აქეთ-იქით აწყდებოდნენ, კუდამოძუებული ძროხები და ხარები ღობე-ყორეს ედებოდნენ და საშინლად ბღაოდნენ.

მარულა იყო, ნამდვილი მარულა! თვალსაც ვერ უსწორებდა კაცი, ისეთ სისწრაფეს ავითარებდა. ბოლოს სოფლის მილიციელ ტაგუ გითოლენდიას უნდოდა გაეჩერებინა მანქანა, მაგრამ მოტოციკლმა ელვის სისწრაფით ჩაუქროლა, გითოლენდიას წუმპე შეასხა, ჩაიქროლა და ცაცხვის ძირას შეჩერდა. მთელი სოფელი იქით გაიქცა... მოტოციკლიდან დინჯად, აუჩქარებლად, გადმოვიდა გოლიათი მოხუცი, ბიძაჩემი. ერთი ჩაახველა და დაიბუბუნა: „რა მოხდა, ძმებო! რას შემომჩერებიხართ? მარსიდან ხომ არ ჩამოვსულვარ?!“

სოფლელები დაიშალნენ. დავრჩით მე და ბიძაჩემი. მერხზე ჩამოჯდა და მითხრა: — ჩემი რაში რომ მიწას მივაბარე, მის შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა, დავცოლშვილდი, გავიხარე, სამი ვაჟკაცი და ორი ქალიშვილი დღეს ჩემი იმედი და სიხარულია... მაგრამ გულში იმ ცხენის სიყვარული თან მდევდა ყოველთვის, ხშირად მესიზმრებოდა კიდეც, მეჩვენებოდა, რომ ისევ ჩემს ბედაურზე ვიყავი შემჯდარი, ცრემლს ვერ ვიკავებდი, ხომ იცი მოხუცების ამბავი — უძილობა, ცრემლი... და მოგონებები ზღაპრულ ცხენზე.

მოტოციკლი შევიძინე, „იუპიტერი“ სწრაფმავალი და ძლიერი.

პირველად სიჩქარისა მეშინოდა, ახლა კი ქარივით დავქრივარ! ჩემი საყვარელი მანქანაა, — იგი ხომ ჰექა-ქუხილის ღმერთია!

ერთხელ კიდევ დაიბუხუნა ბიძაჩემმა, მკერდი ჭაბუკივით შეათამაშა, ჩიბუხის კვამლში გაეხვია და გაუჩინარდა.

# ჩვენი ჟურნალის მეგობრები

ქართული ბიბლიოთეკა





- მზია ლობჟანიძე
- ლუსია ალაიანი
- ნანული დანელია





- გულნარა ბოსიკაშვილი
- მაყვალა კობახიძე
- რევაზ ხანთაძე





- ვლადიმერ ბალიაშვილი
- ჯემალ ედიგარაშვილი
- ზაურ ელბაქიძე

- ნოე პოლოსოვი
- გიგლა ყალიბეგაშვილი
- ბენო პაპიაშვილი
- ბესიკ კვაბზირიძე






ფოტო ვიქტორ ჯაიანიძისა.

„დროშას“ ბევრი კეთილი მეგობარი ჰყავს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობასა და მის სტამბაში. ჟურნალის ფურცლებზე სხვადასხვა დროს არაერთხელ აისახა ჩვენი მოწინავე პოლიგრაფისტების თავდადებული შრომა.

ამჯერად მკითხველს ვაცნობთ მრავალთაგან რამდენიმე ჩვენს მეგობარს.

„დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლის თავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭათ რევაზ ხანთაძეს და ვლადიმერ ბალიაშვილს, რომლებიც დღენიადაგ მხარში უდგანან რედაქციის კოლექტივს.

თავის საპატიო საქმეს სულსა და გულს აქსოვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი გულნარა ბოსიკაშვილი, რომელიც „დროშას“ აკაბადონებს.

როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კოლექტივში, ისევე ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში, დიდი პატივისცემით სარგებლობს შრომის ვეტერანი, ბუღალტერიის თანამშრომელი ლუსია ალაიანი. ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი საუკეთესოდ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ვსარგებლობთ შემთხვევით და დაბადების 70 წლის თავს ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობარს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ჟურნალის იუბილესთან დაკავშირებით გულითად მადლობას ვუცხადებთ გამომცემლობის წარჩინებულ მუშაკებს: საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს მზია ლობჟანიძეს, ნანული დანელიას, ჯემალ ედიგარაშვილს, ზაურ ელბაქიძეს, ნოე პოლოსოვს, ბენო პაპიაშვილს, გიგლა ყალიბეგაშვილს, მაყვალა კობახიძეს, ბესიკ კვაბზირიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნეიის ბაზრობა

## უცხოური ნოველა

ანდრე მორუა

— ბონივე ჩემზე სულ ხუთი თუ ექვსი წლით უფროსია, — დაიწყო მოფრამ, — მაგრამ ისეთი ბრწყინვალე და თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა, რომ მიუხედავად ჩვენი მეგობრობისა, მუდამ ჩემს მფარველ ანგელოზად ვთვლიდი. ბევრით ვარ მისგან დავალებული. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი რომ გახდა, თავისთან წამიყვანა; მოგვიანებით, კაბინეტი რომ დაეცა, თბილი ადგილი გამომინახა.

მალე ისევ აღზევდა და კოლონიების საქმეთა სამინისტრო ჩაიბარა. იმხანობას, პარიზში კარგი სამსახური მქონდა და ამიტომაც ვთხოვე, შენთან ნუ გადამიყვან-მეთქი. ჩვენი მეგობრობა ძველებურად გრძელდებოდა და ხშირად ერთად ვსადილობდით — ხან იმათთან მივდიოდით, ხან კი ისინი გვეწვეოდნენ. ნელი ბონივე ორმოც წელს მიტანებული ბანოვანი გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ასაკისა, ჯერ კიდევ შერჩენოდა ძველებური პეწი და ეშხი. ქმარი პირდაპირ აღმერთებდა, თვითონ ნელიც ხომ შესანიშნავი მეუღლე იყო! მე ათიოდე წლის დაქორწინებული ვიყავი და, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში რა სიამტკბილობით ვცხოვრობდი მადლენთან.

ივნისის დასაწყისში ბონივეს ოჯახმა ბულონის ტყეში მიგვიპატიჟა სადილად. ექვსნი ვიყავით. მშვენიერი საღამო გავატარეთ. შუაღამემაც მოაწია, მაგრამ შინ დაბრუნება არავის მოსვლია აზრად. ბონივემ, რომელიც მუდამ დახვეწილი იუმორით გამოირჩეოდა, დაიჟინა, გინდა თუ არა ნეიის ბაზრობას ვესტუმროთო. ჰარუნ-ალ რაშიდის როლის თამაში უყვარდა და მის დანახვაზე აჩოჩქოლებული ხალხის ჩურჩულიც: შეხე, შეხე, აი, ბონივეო საამო მუსიკად ჩაესმოდა ყურში.

რომ გენახეთ, ღმერთმანი, გული აგიჩუყდებოდათ — სამი გადამწიფებული წყვილი, გარდასულ დღეთა ნეტარების ძიებაში, ბავშვურ გართობებს დავხარბდით. გზადაგზა ლატარიებს ვთამაშობდით და კარგაძალი ნადავლიც მოვაქუჩეთ — მაკარონის ყუთები, დაწნეხილი მინის გემები თუ ცომისგან გამოძერწილი ცხოველები. მამაკაცები სროლაშიც გავეჯიბრეთ ერთმანეთს — ტრიალა სამიზნეებსა და შადრევნის თავზე მოხტუნავე კვერცხებს ჭახა-ჭუხი ავუტეხეთ. და ბოლოს, პატარა რკინიგზას მივადექით. მატარებელი ორ წრეს უვლიდა ღია ცის ქვეშ და ბრეზენტის გვირაბში იკარგებოდა. მატარებლით გასეირნება სწორედ ნელი ბონივემ შემოგვთავაზა. მადლენს არც ნელის წინადადება დაუჯდა ჭკუაში და არც მატარებლის მუთაქები ეჩვენა სულ მთლად სუფთა, მაგრამ ხათრი ველარ გაგვიტეხა. ბილეთები ავიღეთ. გამგზავრების ფორიაქში ჩვენი ჯგუფი ორად გაიყო... მე და ნელი ბონივე მარტონი აღმოვჩნდით კუპეში.

პატარა მატარებელი ვუწოდეთ-და, ისე სწრაფად მიჰქროდა და ისე მკვეთრად უხვევდა, რომ მგზავრები ერთმანეთს ეხლებოდნენ. პირველივე მოსახვევში, ქალბატონი ბონივე, ცოტა დააკლდა და ლამის მკლავებში არ ჩამივარდა. სწორედ მაშინ იყო, მატარებელი გვირაბის სიბნელემ რომ შთანთქა. ახლაც კი ვერ ამიხსნია, თუ რა მოხდა იმ რამდენიმე წუთში, რაც გვირაბში გავატარეთ. ხდება ხოლმე, რომ ადამიანის სხეული გონების კონტროლს გაურბის და დამოუკიდებლად მოქმედებს. ასე იყო თუ ისე, ერთი კი ვიცი, რომ ნელი ბონივე მუხლებზე მესვენა და ისე ვეფერებოდი, ახალწვეული ჯარისკაცი რომ ეალერსება სოფლის ბაზრობაზე დამარტოხელებულ გულის სწორს. გაფაციცებით ვეძებდი ქალის ტუჩებს და ის იყო, მივაგენი კიდეც, რომ თვალისმომჭრელმა სინათლემ იფეთქა. თითქოსდა შეთანხმებული ვიყავითო, თვალშეუვლები, უხეში მოძრაობით ერთმანეთს გავერიდეთ... ვიჯექით და მონუსხულებივით სივრცეს მივჩერებოდით.

ახლაც კარგად მახსოვს, რარიგ ვცდილობდი, ამომეცნო ნელი ბონივეს გამომეტყველება... თმებს ისწორებდა, დინჯად შემომცქეროდა და ხმას არ იღებდა. გაოგნებისა და სიმორცხვის წამმა სწრაფად გაირბინა. მატარებელმა სვლას უკლო და მალე, ბაქანზე, მადლენს, ბონივესა და დანარჩენ თანამგზავრებსაც შევუერთდით.

— ჩვენი ასაკისათვის არც თუ ისე შესაფერისი გასართობი ყოფილა, — სევდიანად თქვა ბონივემ, — მგონი, დროა, ლოგინს მივაშუროთ.

მადლენმაც მხარი აუბა და მაიოს კარიბჭეს რომ მივატანეთ, ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ნელის ხელზე ვეამბორე და ქვემოდან ავხედე. რაღაც მხიარულ ამბავს უყვებოდა მადლენს და ზედაც არ შემომხედა.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. ამ მოულოდნელმა ამბავმა თავგზა ამიბნია და აქამდე ესოდენ მშვიდი და მყარი ცხოვრება ძირფესვიანად ამიფორიაქა. დიდი არშიყი არც ადრე გახლდით, ქორწინების შემდეგ კი მადლენის მეტი არავინ მახსოვდა. თავს ვევლებოდი და ისიც უსაზღვროდ მენდობოდა. რაც შეეხება ბონივეს, მასთან გულითადი მეგობრობა და მადლიერების გრძნობა მაკავშირებდა. მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ ნელის ნახვის სურვილი ვერ იქნა და ვერ მოვიშორე. სულ იმის ფიქრში ვიყავი, ის უკანასკნელი მზერა რას ნიშნავდა-მეთქი. შეიძლება, გაოცებას? ან იქნებ, ბრაზს? კარგად მოგეხსენებათ, თვით ყველაზე მოკრძალებული მამაკაცის გულშიაც კი მოიძიებთ საკმარის თავმოწონებასა და ყოყლოჩინობას. ჰოდა, მეც წარმოვიდგინე, რომ იმ საბედისწერო წუთს, უეცარი შემთხვევის წყალობით, ქალში აქამდე მოთოკილმა გრძნობამ იფეთქა.

მეორე დილით უამრავი საქმე გამომიჩნდა და იმ საოცარ შემთხვევაზე ფიქრის დრო აღარ დამრჩა: მესამე დღეს კი ტელეფონთან მიხმეს:

— კოლონიების საქმეთა სამინისტროდან გაწუხებთ... მინისტრს თქვენთან საუბარი სურს... დაელოდეთ!

ტანში უსიამო ჟრჟოლამ დამიარა. აქამდე ბონივეს არასოდეს დაურეკავს ჩემთვის. როცა კი რამე საქმე გამოგვიჩნდებოდა, ცოლების მეშვეობით ვატყობინებდით ერთმანეთს. ახლა კი, ეტყობა, საქმე იმდღევანდელ სულელურ შემთხვევას ეხებოდა.

— ალო, — გაისმა ყურმილში ბონივეს ხმა — თქვენა ხართ, მოფრა? ჩემთან ხომ ვერ შემოივლიდით? დიახ, სასწრაფო საქმეა... აი, მოხვალთ და აგიხსნით... მაშ, ნუღარ დაახანებთ.

ყურმილი დავკიდე... გამოდის, ნელი იმ გულისამრევი ქალების რიგს განეკუთვნება, რომლებიც ჯერ თქვენს ცდუნებას შეეცდებიან (მზად ვარ ხატზე დავიფიცო, რომ იმ დღესაც თავისი ნებით ჩამივარდა მკლავებში), მერე კი, ქმრებთან გარბიან საჩივლელად: „იცი, ძვირფასო, სულ ტყუილად ენდობი ბერნარს... მეგობარიაო, დაგიჟინია, ის კი...“ ო, დედაკაცთა საზიზღარო მოდგმავ!

ტაქსის მოლოდინში, სულ იმას ვფიქრობდი, რა მომელის-მეთქი. დუელი? ჯანი გავარდეს, თანახმა ვარ! სხვა თუ არაფერი, ყველაზე ადვილი გამოსავალი მაინცაა. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ომის შემდეგ დუელზე აღარავინ იბრძვის.

არა, ეტყობა ბონივე საყვედურებით ამავსებს და მაგრძნობინებს, აღარაფერი საერთო არა მაქვს შენთანო. ეს ჩვენი მეგობრობის დასასრული იქნება; ჩემს კარიერასაც უნდა დავემშვიდობო, რადგანაც კარგად ვიცი, რომ ბონივეს წინ ვერაფერი დაუდგება. ყველას ის აკერია პირზე, სადაცაა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდებაო. სხვა რომ არაფერი, მადლენს როგორღა ავუხსნა მე და ბონივეს უეცარი და გაუგებარი დაშორების მიზეზი?

აი, ასეთი და კიდევ უფრო ქუფრი ფიქრებით დამძიმებული მივდიოდი სამინისტროსკენ. ახლაღა მივხვდი, თუ რატომ მიაჩნიათ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს თვითმკვლელობა ერთადერთ ხსნად. იმიტომ, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავი არა აქვთ; არც ძალა ერჩით და არც საამისო მხნეობა გააჩნიათ.

ცოტა ხანი მოსაცდელში დავყავი. ოთახი მთხოვნელებითა და თანამშრომლებით იყო სავსე. გული გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით მიფართხალებდა. კედელზე ფრესკას მივჩერებოდი — ვიეტნამელი ქალები მოსავალს იღებდნენ. ჩემი გვარი გამოაცხადეს, ფეხზე წამოვხტი: ბონივეს კაბინეტის წინ ვიდექი და ვფიქრობდი, ლაპარაკი დავაცალო

თუ პირდაპირ ალსარებაზე გადავიდე-მეთქი.

ბონივე ფეხზე წამოდგა და ხელი გამომიწოდა. ასეთმა გულითადმა მილებამ დავთარი ამიბნია. იქნებ მიხვდა, რომ ის ინციდენტი უნებლიე შემთხვევითობა იყო და სხვა არაფერი?

— პირველ ყოვლისა, — დაიწყო ბონივემ — პატიებას გთხოვთ, რომ სასწრაფოდ გამოგიძახეთ და სამუშაოს მოგაცდინეთ. მაგრამ, თქვენც დამეთანხმებით, რომ საშური საქმეა. კარგად მოგეხსენებათ, მომავალ თვეს მე და ნელი ხანგრძლივი დროით მივემგზავრებით დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში. ჩემთვის ეს საქმიანი მოგზაურობა გახლავთ, ნელისთვის კი — ტურისტული და გასართობი გასეირნება. მე გადავწყვიტე, თანამშრომლებთან ერთად ჟურნალისტებიც გავიყოლიო თან. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავაცნოთ ფრანგებს საკუთარი სამფლობელოები! ჩემს გეგმაზე თუ აქამდე სიტყვა არ დამცდენია, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ არც ჩემი სამინისტროს თანამშრომელი ხართ და არც ჟურნალისტი. მერე კიდევ, თქვენი საკუთარი საქმეებით ხართ დაკავებული. გუშინ საღამოს კი ნელიმ შემახსენა, რომ ჩვენი მოგზაურობა თქვენს შვებულებას ემთხვევა და რომ თქვენ და თქვენი მეუღლე უფრო სასიამოვნო თანამგზავრები იქნებით მისთვის, ვიდრე ოფიციალური თანმხლები პირები. ასეც რომ არ იყოს, არც თუ ისე ჩვეულებრივ პირობებში აფრიკის ხილვა ერთობ მაცდუნებელი უნდა იყოს თქვენთვის. ამრიგად, თუ კი თანახმა ხართ, შეგიძლიათ შემოგვიერთდეთ. მაგრამ, საქმე ის არის, რომ თქვენი საბოლოო სიტყვა ახლავე უნდა მითხრათ, რადგანაც ჩემი თანამშრომლები სიების შედგენას ამთავრებენ.

მე მადლობა მოვახსენე და ვთხოვე, რამდენიმე საათი მოეცა, რათა ცოლის აზრიც გამეგო. თავდაპირველად ბონივეს წინადადება ჭკუაში დამიჯდა. მაგრამ მარტო რომ დავრჩი, წარმოვიდგინე, რა უხერხული, უზნეოც კი იქნებოდა მადლენის თვალწინ მსუბუქი სასიყვარულო ინტრიგის გათამაშება. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბონივეს სტუმარი უნდა ვყოფილიყავი. რა თქმა უნდა, ნელი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ მის საქციელს გამართლებას ვერ ვუძებნიდი. საუზმისას, მადლენს გადავეცი ბონივეს წინადადება, მაგრამ ის კი არ ვუთხარი, ვინ თუ რა იყო ჩვენი მოწვევის მიზეზი. მერე ერთად დავიწყეთ იმაზე ფიქრი, თუ როგორ აგვეცილებინა თავიდან ეს მოგზაურობა, ისე, რომ უზრდელობაში არ ჩამოერთმიათ. მადლენმა სულ ადვილად გადაწყვიტა საქმე: რაღაც უმნიშვნელო მიზეზი მოიგონა და ჩვენც აღარ წავედით აფრიკაში...

კარგად ვიცი, რომ იმ დღიდან მოყოლებული, ნელი ბონივე მტრად მომეკიდა და როცა კი შემთხვევა მიეცემა, აშკარა ირონიით ლაპარაკობს ჩემზე. აგერ ახლა იყო, ჩვენმა საერთო მეგობარმა, ლამბერ-ლეკლერკმა უთხრა, მოფრა სენის დეპარტამენტის პრეფექტად ინიშნებაო. ნელიმ ტუჩი აიბზუა: „მოფრა? — თქვა მან, — სხვა ვერავინ გამოძებნეს? თავაზიანი კია, მაგრამ ენერგიის ნატამალიც არ გააჩნია. უნდილი კაცია და თვითონაც არ იცის, რა სურს“.

ბონივემ ცოლს კვერი დაუკრა და იმ მაღალ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შესახებ ამიერიდან სიტყვაც არავის დაუძრავს.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა.

## ახალი კანონი

ჰოლანდიაში ამას წინათ ასეთი კანონი შემოიღეს:

ახალ კონფეტს და ნამცხვარს ტელევიზიით მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუკეთონ რეკლამა, თუ ეკრანის რომელიმე კუთხეში თვალსაჩინოდ იქნება გამოსახული... კბილის საწმენდი ჯაგრისი.

## რობინზონ კრუზოს წინამორბედი

შოტლანდიელ მეზღვაურს ალექსანდრე სელკირკს მშობლიურ ქალაქ ლოუერ ლარგოში ამას წინათ ძეგლი დაუდგეს.

ეს ის მეზღვაურია, რომელმაც დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ დაწერა შთააგონა.

1704 წელს მეზღვაური ალექსანდრე სელკირკი, რომელსაც უთანხმოება მოუვიდა კაპიტანთან, ხომალდიდან გადმოსვეს. მან წყნარი ოკეანის ერთ-ერთ პატარა, უკაცრიელ კუნძულზე მარტოდმარტომ გაატარა 4 წელი.

## ზუსტი პასუხი

კოლუმბიის უნივერსიტეტის თანამშრომელი ამას წინათ შეეკითხა ადგილობრივ გამოთვლით ცენტრს:

„მინდა მკაცრი დიეტა დავიცვა და გავხდე. როგორ მოვიქცე, რომ ყოველდღიურად საკვების მაქსიმალური რაოდენობა მივიღო და თან დაბალკალორიული დიეტა დავიცვა?“

პასუხმა არ დააყოვნა: „თქვენ შეგიძლიათ ყოველდღიურად შესვათ 20-25 ლიტრი ძმარი“.

## ესაუბრეთ საკუთარ თავს

მონრეალში გაიმართა ფსიქიატრთა სიმპოზიუმი, რომელზეც ლონდონელმა ექიმმა კორიჩერმა ადამიანის საკუთარი ხმის სამკურნალო თვისებებზე ისაუბრა.

კორიჩერი ირწმუნება, რომ დალლილობიდან და დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი საიმედო სამკურნალო საშუალებაა საკუთარ თავთან ხანგრძლივი საუბარი.

## რობოტი — საფრთხობელა

ერთ-ერთმა ინგლისურმა ფირმამ მასიურად დაიწყო საფრთხობელა-რობოტების გამოშვება.

რობოტები ბაღჩა-ბაღებსა და მინდვრებში დღისით შემაზრზენ ხმას გამოსცემენ, ღამით კი სხვადასხვა ფერის შუქს აფრქვევენ.

საფრთხობელა-რობოტს წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით მოძრაობაც შეუძლია.

სოფლის მეურნეობის მავნებელთა დაფრთხობაში მათ ახლა ბადალი არ ჰყავთ.

## დღე და ღამე

საგანგებო კომისიამ დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გზებზე გამუდმებით დ ა ქ რ ი ს 2.000.000-მდე მსუბუქი ავტომობილი და 400.000-მდე საბარგო მანქანა.

მსუბუქი მანქანების უმრავლესობა ქალაქების მაგისტრალებზე მოძრაობს.

## ბუნების საოცრება

მექსიკაში ხარობს უცნაური მცენარე, რომლის ყვავილები დღეღამეში რამდენჯერმე იცვლის ფერს.

გამთენიისას ყვავილი თეთრია, დილით — ვარდისფერი, შუადღისას — მუქი წითელი, საღამო ხანს — მოიისფრო; ღამით ყვავილი ისევ თეთრდება და ამ ფერს ალიონამდე ინარჩუნებს.

აღსანიშნავია, რომ საამო სურნელი მხოლოდ თეთრი ფერის ყვავილს აქვს.

კორექტორი ცისანა სიჭინავა

მონტაჟი ნანული დანელიასი

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: ჟურნალ „დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავის გამო.

ფოტომონტაჟი გონდო დადვაძისა.

გადაეცა წარმოებას 26. 09. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 10. 83 წ., უე 08349. ქაღალდის ზომა $70\times108\,^{1}/_{8}$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 49.500. შეკვ. № 2260. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

# „პიონერფილმი" გადაღებაზე

„პიონერფილმის" ვეტერანი ანდრო კვერნაძე.

ოპერატორები მერაბ მარჯანიშვილი და ნიკა ჩიქოვანი.

„პიონერფილმის" ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი გრიგოლ ჩიგოგიძე.

მულტფილმების სექცია.

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის „პიონერფილმის" გადამღები სტუდია.

ფოტო სერგო ედიშერაშვილისა.


ეროვნული ბიბლიოთეკა










დილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინდექსი 76056